# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 3 თებერვალი 2007 №23 (2946) ფასი 50 თეთრი


# ცხვარი, ჰერ, ცხვარია საჭირო!

## უიღბლობა ტოპმიოლერს პრესინგს ეთამაშება: თურქებთან მატჩი უკობიაშვილოდ






# GOGUA GO HOME OFFICE

## ჰართსმა დეპარტამენტი ნაკრებზე შეითანხმა



# ახალკაცმა ევროპა მოიგო, ტოპმიოლერი შეტევაზეა



ჯერ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისის გახსნა, შემდეგ ესენგეს ჩემპიონთა ტურნირი და ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერთან შეხვედრა, 25-26 იანვარს კი უეფას კონგრესი — ბოლო ორი-სამი კვირა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცისთვის დატვირთული იყო.
ის თბილისში გუშინ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერთან ერთად ჩამოვიდა და პრესკონფერენციაც მოაწყო...
დარბაზში ახალკაცისა და ტოპმიოლერის გარდა ფედერაციის ბევრი მუშაკიც იყო — ცხადია, პრეზიდენტისგან და მწვრთნელისგან ახალი ამბები მათაც აინტერესებდათ...

*კლაუს ტოპმიოლერი:* თურქეთი საქართველოსთან სათამაშოდ უძლიერესი შემადგენლობით მოდის. თითქმის იგივე შემადგენლობაა, რომელმაც 15 ნოემბერს იტალიასთან ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ეს წუთია, მეტოქის შემადგენლობა მივიღეთ და ვნახეთ, რომ მწვრთნელს ჩვენთან მატჩისთვის „ბლექბერნის" ნახევარმცველი თუგაიც გამოუძახია, ის კი თავის დროზე თურქეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო. აქედანაც ჩანს, რომ თურქები საქართველოსთან შეხვედრის წინ მაქსიმალურად მობილიზებულნი არიან და ჩვენთან საინტერესო მატჩს ელიან. ნუ დავივიწყებთ, 7 თებერვალს თბილისში მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვმასპინძლობთ და ვსარგებლობ შემთხვევით, ქომაგებს სტადიონზე მოსვლისკენ მოვუწოდებ, მათი მხარდაჭერა ჩვენი ბიჭებისთვის იქნებ გადამწყვეტიც გამოდგეს...

...სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ თურქეთთან მატჩშიც დაგვაკლდება ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი — ლევან კობიაშვილი „აინტრახტთან" შეხვედრისას დაშავდა და ოპერაცია გაიკეთა. მალხაზ ასათიანის შემდეგ ის ჩვენთვის მეორე დიდი დანაკლისია. იმედი მაქვს, უკვე გამოძახებულთაგან 7 თებერვლამდე სხვა არავინ დაგვაკლდება. ძალიან მინდა, საქართველოს ჰქონდეს სტაბილურად დადებითი შედეგი და ჩემმა გუნდმა სტაბილურად ხარისხიანი ფეხბურთი ითამაშოს. თურქებთან მატჩის შემდეგ კი კიდევ ერთხელ შევუტევთ ევროპის მომავალ ჩემპიონატზე საქართველოს მოხვედრის შანსებს...

...იტალია — თურქეთის ამხანაგური მატჩის ფირი რამდენჯერმე ვნახე. აბსოლუტურად თანაბარი თამაში იყო. თურქებმა ფრე დაიმსახურეს, თუმცა მათ მეკარეს უხეში შეცდომა რომ არ დაეშვა, მოიგებდნენ კიდეც. მეორე ტაიმში ორივე გუნდმა თითქმის მთელი შემადგენლობა შეცვალა, რითაც კარგად გამოჩნდა, რომ ჩვენს მომავალ მეტოქეს თითოეულ პოზიციაზე ორი სრულფასოვანი ფეხბურთელი ჰყავს...

...შაბათ-კვირას ევროპაში ჩემპიონატის მატჩებია. იმედი მაქვს, ამ ტურების შემდეგ ნაკრებში არავინ დაგვაკლდება, თუმცა თადარიგი დავიჭირეთ, ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრის შემდეგ ჯაბა კანკავა ეროვნულში გადმოინაცვლებს. მართალია, მას შოტლანდიასთან თამაშის უფლება არ აქვს, მაგრამ მაინც — ის ეროვნული გუნდის ფეხბურთელად ითვლება...

...შოთა არველაძე ნაკრებისთვის ფასდაუდებელი ძალაა და ძალიან მოხარული ვიქნები, ეროვნულ გუნდს ოფიციალურ მატჩებში თუ დაეხმარება. ვითვალისწინებთ მის ასაკს, გადატვირთულ გრაფიკს, ტრავმების საშიშროებას და ნაკრების ამხანაგური მატჩებიდან ვათავისუფლებთ. შოთა შოტლანდიასთან მატჩში ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი იქნება...

*სანაკრებო ამბებზე კლაუს ტოპმიოლერმა პრესკონფერენციისას სხვაც ბევრი თქვა, თუმცა გუშინ დილით „სარბიელი" მას სასტუმრო „მარიოტში" შეხვდა და სხვა დანარჩენს უფრო დეტალურად მესამე გვერდზე ნახავთ...*

*ნოდარ ახალკაცი:* გახარებულები ვართ, რომ ჩვენი შრომა-მონდომება დაფასდა და უეფას პრეზიდენტად ევროპამ ის კანდიდატი აირჩია, რომლის მხარდამჭერიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იყო. უეფას ახალმა თავკაცმა არჩევნების შემდეგ რევაზ არველაძეს თავადვე შეახსენა, პრეზიდენტის რანგში ჩემი პირველი ვიზიტი სწორედ საქართველოში უნდა იყოსო. მიშელ პლატინი კი სიტყვის კაცია და ამ პირობას აუცილებლად შეასრულებს...

...საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სწორად გათვალა, როცა პლატინის ღიად დაუჭირა მხარი. ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი პირდაპირ არა, მაგრამ გარკვეული დოზით კი მიანიშნებდა, რომ ისიც პლატინის მომხრე იყო...

...სათქმელია ისიც, რომ საქართველო არის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფეხბურთის ფედერაციათა შეხვედრის ორგანიზატორი და, როგორც გერმანული გამოცემა „კიკერი" წერს, სწორედ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკების მხარდაჭერით გახდა პლატინი უეფას პრეზიდენტი. ეს ამბავი თავად პლატინიმაც კარგად იცის და ხმამაღლაც ამბობს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წინასაარჩევნოდ დიდი სამუშაო ჩაატარა...

...თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჰალუკ ულუსოისა და ჩემი ინიციატივით 5-6 თებერვალს თბილისში სპორტული მედიცინის სემინარი გაიმართება. ვსარგებლობ შემთხვევით და, დახმარებისთვის მადლობას ვუხდი GPS-ს — სემინარიც სწორედ ამ კომპანიის ოფისში გაიმართება.

**კობა ინასარიძე**





# განა ბევრი გვყავს იაშვილ-ხიზანეიშვილი?

**თურქეთთან ამხანაგური მატჩისთვის კლაუს ტოპმიოლერმა ნაკრებში არც ერთ ფრაიბურგელს არ უხმო — არც ალექსანდრე იაშვილს და არც ოთარ ხიზანეიშვილს**

*ამასთან დაკავშირებით გუშინ ჯერ იაშვილს დავუკავშირდით...*

— ახლაც რომ არ გამომიძახეს ნაკრებში, ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. უკვე ზედიზედ მეორედ ხდება, ნაკრებში არ მიწვევენ, მანამდე ხომ ურუგვაისთანაც არ გამომიძახეს.

**— რალფ მინგემ „სარბიელთან" ინტერვიუში გვითხრა, იაშვილს ვესაუბრეო...**

— მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ჰანზას" 3:1 რომ მოვუგეთ, მითხრა, ამ თამაშზე ვიყავიო, მეტი არაფერი უთქვამს.

**— შენი არგამოძახება მართლაც მოულოდნელი იყო — ბოლო თამაშებში ხომ ერთ-ერთი გამორჩეული ხარ „ფრაიბურგში"...**

— რაც სეზონი განახლდა, მართლაც კარგად ვთამაშობ — „ფრაიბურგმა" ოთხი გოლი გაიტანა და სამი საგოლე პასი გავაკეთე.

*აი, ასეა საქმე და თუ იაშვილზე ტოპმიოლერს ძვირი არაფერი უთქვამს, ხიზანეიშვილზე გუშინ „სარბიელს" ეს უთხრა: „ხიზანეიშვილი განსაკუთრებული შემთხვევაა — ურუგვაისთან მატჩისთვის ივი არ ჩამოვიდა, თან განმარტებაც არ მოგვცა. თუ ხიზანეიშვილი ფიქრობს, რომ კლუბისთვის უფრო საჭიროა, ვერაფერს გააწყობ. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, ოთართან და მის კლუბთან პრობლემები ადრეც მქონდა".*

*ახლა კი ხიზანეიშვილსაც მოვუსმინოთ...*

— ურუგვაისთან მატჩისთვის სიცხე მქონდა, ათი დღე ავად ვიყავი — ამის შესახებ ნაკრების მენეჯერ თამაზ ბოკერიას ვაცნობე და მითხრა, ყველაფერს გადავცემ ტოპმიოლერსო. სხვათა შორის, მაშინ ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზეც ეწერა, თუ რატომ ვერ ჩამოვედი ურუგვაისთან მატჩისთვის.

**— გასაგებია, მაგრამ ტოპმიოლერის განცხადებას მაინც რა კომენტარს გაუკეთებდი?**

— ნაკრები და საერთოდ ფეხბურთის თამაში მონატრებული მაქვს და ნაკრებში ჩამოსვლაზე უარს როგორ ვიტყოდი?! ვინც მე მიცნობს, ყველამ იცის, რომ ყოველთვის მიხაროდა ნაკრებში თამაში და ამაზე უარი არასდროს მითქვამს. არ ვიცი, რატომ თქვა ტოპმიოლერმა ასეთი რამ. ახლა არავინ შემხმიანებია ნაკრებიდან. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რაც სიმართლეა. ურუგვაისთან მატჩისთვის „ფრაიბურგში" სათადარიგო ვიყავი, ამ ბოლოს კი ღმერთმა ქე უკეთ ვარ, ოპტიმალურ ფორმას ვიბრუნებ.

**დავით თავართქილაძე**

## იტალია

სერია A. XXII ტური
კატანია 1:2 პალერმო
სერია B. XXII ტური
ჩეზენა 1:0 სპეცია
სერია C1/B. XXI ტური
ლანჩანო 0:1 რავენა

## საფრანგეთი

II დივიზიონი
XXIII ტური
ამიენი 2:0 გენიონი
ბასტია 2:0 კაენი
შატორუ 2:1 აიაჩო
კრეტეი 0:1 ლე ავრი
დიჟონი 0:1 ლიბურნი
მონპელიე 2:0 რეიმსი
ნიორი 0:0 ისტრი
ტურსი 1:1 გრენობლი
მეცი 0:0 ბრესტი

## გერმანია

ბუნდესლიგა
XX ტური
ნიურნბერგი 3:0 ბაიერნი
II ბუნდესლიგა
XX ტური
აუე 0:1 დუისბურგი
კარლსრუე 2:1 ოფენბახი
კობლენცი 1:0 ბრაუნშვაიგი

## ინგლისი

ჩემპიონატი. XXXI ტური
კარდიფი 2:0 ბარნსლი

## ბელგია

იუპილერლიგა. XX ტური
ბევერენი 0:2 ბრიუგე

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXIII ტური
გრონინგენი 1:1 ჰერენვენი
II დივიზიონი. XXVI ტური
გრაააფსხაპი 1:1 ეინდჰოვენი
ემენი 0:1 კამბური
ვოლენდამი 2:0 სიტარდი
იგლსი 1:1 დენ ბოსხი
ჰაარლემი 1:1 აპელდორნი
ჰელმონდი 2:4 დორდრეხტი
მაასტრიხტი 1:0 ტელსტარი
როზენდალი 2:0 ალმერე
ოსი 0:3 ვეენდამი
ვენლო 2:2 ზვოლე

## პორტუგალია

სუპერლიგა. XVII ტური
ბენფიკა 0:0 ბოავიშტა

## თურქეთი

სუპერლიგა. XIX ტური
ფენერბაჰჩე 2:1 გენჩლერი

# კობიაშვილს კანკავა შეცვლის

**შალკელი** ლევან კობიაშვილი ისე დაშავდა, რომ 7 თებერვალს თურქეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის ვერ ჩამოვა.

გელზენკირხენის „შალკეს" ოფიციალურ ვებგვერდი იტყობინება, რომ კობიაშვილმა ფეხის ცერა თითი ბუნდესლიგის მეორე წრის პირველ ტურში „აინტრახტთან" დაიზიანა და ახლა, „ალემანიასთან" გუშინწინდელ მატჩში ტრავმა გაუმიზეზდა. თითის გარდა ლევანს მუხლიც აწუხებს და ხვალ ბრემენის „ვერდერთან" ვერ ითამაშებს.

კლაუს ტოპმიოლერმა კობიაშვილის ნაცვლად თურქეთთან მატჩისთვის ჯაბა კანკავას უხმო, ვინც სათურქეთოდ ახალგაზრდულ ნაკრებში იყო გამოძახებული.

**ლუკა თალაკვაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

**სასიკეთო ძვრები, სათამაშო პროგრესი და გაუთავებელი უილბლობა — ორიოდ სიტყვით ასეთი იყო საქართველოს ნაკრებისთვის 2006 წელი. იმედია, პროგრესი გაგრძელდება და უილბლობა დაგვტოვებს. ამ იმედითაა კლაუს ტოპმიოლერი, რომელიც წლეულს პირველად ჩამოვიდა საქართველოში. ოთხ დღეში თურქეთთან ამხანაგური მატჩია — მუნდიალის ყოფილ მესამეადგილოსანთან ჯახი რატომლაც რომ უინტერესო იყოს, მაგრამ ჰერ კლაუსის და ქართველი ქომაგების ფიქრები, ბუნებრივია, მაინც გლაზგოსკენაა მიმართული.**
**კლაუს ტოპმიოლერს გუშინ დილით სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ შევხვდით და სასაუბროც, იცოცხლეთ, ცოტა არ გვქონდა...**




# კლაუს ტოპმიოლერი: ვიცი, რომ ურთულესი წელი გველის
## ვმუშაობ საქართველოში, ანუ ვემხრობი პლატინის

**— საახალწლო და საშობაო დღესასწაულები როგორ გაატარეთ?**

— მშვენივრად. ოჯახთან ერთად შევხვდი დღესასწაულებს, პატარა შვებულება მოვიწყეთ და კარგადაც მოვილხინეთ.

**— თვლით, რომ 2007 წელი შარშანდელზე რთული იქნება თქვენთვის?**

— შარშან ძალიან დატვირთული წელიწადი გვქონდა. საქართველოსთანა პატარა ქვეყანა ოთხი თვის განმავლობაში საფრანგეთს, იტალიას, გერმანიას, ურუგვაისა და უკრაინას რომ შეხვდება, როგორ შეიძლება, პატარა ამბავი იყოს... მაგრამ მე ვიცი, რომ ეს წელიწადიც სავსე გვექნება უდაძაბულესი მატჩებით.

**— თურქეთთან მატჩს განიხილავთ როგორც მხოლოდ ამხანაგურს, თუ შედეგსაც დიდ ყურადღებას მიაქცევთ?**

—ეს მატჩი ამხანაგური კია, მაგრამ რომელ მწვრთნელს არ გაუხარდება თურქეთთან მოგება?! ჩვენ ისეთივე შემტევი ფეხბურთის თამაშს ვაპირებთ, როგორიც ურუგვაისთან იყო. მეტოქე ძლიერია, თან ჩვენ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაგვაკლდება, ასე რომ, რთული თამაში იქნება.

**— ცნობილია, რომ შოთა არველაძე და ოთარ მარცვალაძე ვერ ჩამოვლენ. მათ ნაცვლად ვის გამოიძახებთ?**

— 21 ფეხბურთელი გამოვიძახეთ და ეს კონტინგენტი საკმარისია, მაგრამ თუ კიდევ იქნება ტრავმები ან რომელიმე ფეხბურთელი ვერ შეძლებს ჩამოსვლას, მაშინ ახლებს გამოვიძახებ.

**— მაინც ვის?**

— ამაზე ჯერ არ ჩამოვყალიბებულვარ.

**— თურქეთთან იგივე ტაქტიკურ სქემას გამოიყენებთ, რითაც შოტლანდიასთან აპირებთ თამაშს?**

— სასურველია, ასე იყოს. ეს მაინც მოთამაშეთა ბირთვზე იქნება დამოკიდებული — თუ თურქეთთან ყველა ფეხბურთელი მწყობრში იქნება, მაშინ ზედმიწევნით საშოტლანდიო ვარიანტს ავირჩევთ, ხოლო თუ სამი-ოთხი კაცი გამოგვაკლდა, მაშინ...

**— მათე ღვინიანიძე B ნაკრებში რატომაა გამოძახებული? მიზეზი ისაა, რომ ტრავმა ჰქონდა?**

— ნაწილობრივ ტრავმაცაა ამის მიზეზი. მეორეც ის, რომ ღვინიანიძის გუნდს ორშაბათს აქვს მეორე ბუნდესლიგის მატჩი. „მიუნხენ 1860“-ის მენეჯერს ვუთხარი, რომ თუ დროზე ვერ გამოუშვებდა მათეს, მაშინ უფლებას დავიტოვებდით და მომდევნო ტურის მატჩს, რომელიც მიუნხენელებისთვის უფრო რთული და მნიშვნელოვანია, ფეხბურთელს გამოვატოვებინებდით. საბოლოოდ, ამან გაჭრა და ღვინიანიძე დროულად ჩამოვა სანაკრებო მატჩისთვის.

...ძალიან მიხარია, რომ ღვინიანიძე კარგად მოერგო „მიუნხენ 1860“-ს და გუნდის საუკეთესო ფეხბურთელია. როცა ის არ თამაშობს; მიუნხენელები აგებენ და ჩვენთვის გარკვეულწილად ესეც სასიამოვნოა...

**— ალექსანდრე იაშვილმა და ოთარ ხიზანეიშვილმა „ფრაიბურგის“ ბოლო ორი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარეს. რატომ თქვით მათზე უარი?**

— ხიზანეიშვილი განსაკუთრებული შემთხვევაა — ურუგვაისთან მატჩისთვის იგი არ ჩამოვიდა, თან განმარტებაც არ მოგვცა. თუ ხიზანეიშვილი ფიქრობს, რომ კლუბისთვის უფრო საჭიროა, ვერაფერს გააწყობ. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, ოთართან და მის კლუბთან პრობლემები ადრეც მქონდა.

**— იაშვილი?**

— მის შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ, მართლაც კარგ ფორმაშია. ეგაა, თურქეთთან იმ ფეხბურთელების გამოცდა ვარჩიე, რომლებმაც ურუგვაისთან კარგად ითამაშეს. თუნდაც სირაძის... მინდა, გავიგო, მათი კარგი თამაში ერთჯერადი აქცია იყო თუ არა.

**— შოტლანდიის ნაკრებს მწვრთნელი შეეცვალა. უოლტერ სმიტს მშვენიერი შედეგი ჰქონდა და როგორ გგონიათ, მის ნაცვლად ალექს მაკლიშის გათავკაცება უარყოფითად არ იმოქმედებს შოტლანდიაზე?**

— მწვრთნელის შეცვლა მაშინ, როცა გუნდი წარმატებით თამაშობს, ვერანაირად ვერ იქნება კარგი. შოტლანდიის ნაკრებზე ეს ფაქტი, ალბათ, უარყოფითად იმოქმედებს. ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო სმიტის წასვლა.

**— ალექს მაკლიშს, როგორც მწვრთნელს, იცნობთ?**

— კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ის პოპულარული მწვრთნელია თავის ქვეყანაში და შემტევი ფეხბურთი უყვარს.

**— მიხეილ აშვეთია და გიორგი ლომაია თქვენი რეკომენდაციით მოხვდნენ „კარლ ცაისში“. ლომაიას ტრანსფერი ალბათ ორმაგად სასარგებლოა, თუ გავითვალისწინებთ ნაკრების ყბადაღებულ მეკარის პრობლემას...**

— მოუთმენლად ველი „კარლ ცაისის“ მატჩებს. სიამოვნებით ვნახავდი აშვეთია-ლომაიას თამაშს „კიოლნთან“, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ მოვახერხებ. ცალკე „კარლ ცაისს“ და პირადად აშვეთიასაც და ლომაიასაც ახლა საკმაო მოტივაცია აქვთ.

**— სამწუხაროდ, პირიქით მოხდა გოგიტა გოგუას შემთხვევაში, რომელსაც გამზადებული კონტრაქტი ჩაეშალა. ფსიქოლოგიურად ის რთულ მდგომარეობაში იქნება და ეს არ გაფიქრებთ?**

— წესი წესია და მას ვერ შეცვლი. გოგუას შემთხვევა სამწუხაროა, მაგრამ ასეთი რამ სხვა ფეხბურთელებსაც დამართნიათ. ამით ხომ გოგიტას კარიერა არ დასრულებულა...

**— თქვენი ვაჟი, დინო, ბოლო მატჩებს კარგად ატარებს „ოფენბახში“. მასზეც გვითხარით...**

— კი, დინო კარგ ფორმაშია. გუშინწინ „ოფენბახის“ პრეზიდენტმა დამირეკა, მოხარული ვარ, რომ გოლები გააქვსო.

**— სხვაც ვთქვათ: გუშინწინ მიუნხენის „ბაიერნის“ მწვრთნელად ოტმარ ჰიცფელდი დაინიშნა. „ბაიერნს“ ცუდი შედეგები აქვს და როგორ გგონიათ, ჰიცფელდი ასეთ მოკლე დროში შეძლებს გუნდის გარდაქმნას?**

— ჰიცფელდი რომ შესანიშნავი მწვრთნელია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ის წარმატებებს მიჩვეული სპეციალისტია, „ბაიერნი“ კი მისთვის უჩვეულო მეოთხე ადგილზეა და სწორედ ასეთი თავკაცი სჭირდებოდა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**— და ბოლოს, გასული კვირის მთავარ საფეხბურთო მოვლენაზე: მიშელ პლატინი უეფას პრეზიდენტი გახდა. ალბათ თქვენც ეთანხმებით პლატინის, რომელიც ღარიბი ქვეყნების წამოწევას ემხრობა...**

— აბსოლუტურად ვეთანხმები პლატინის და მისმა გამარჯვებამ ძალიან გამახარა. მე და მინგეც ვიყავით საარჩევნო კონგრესზე, პლატინის მივულოცე და ვუთხარი, ხმის მიცემის უფლება რომ მქონოდა, მის სასარგებლოდ გავაკეთებდი არჩევანს. პლატინი ცოტა გაბრაზებული იყო გერმანელებზე, რადგან მათ იუჰანსონს დაუჭირეს მხარი. მართალია, არც იუჰანსონს უმუშავია ცუდად და ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა, მაგრამ მიშელის პროგრამა გაცილებით პროდუქტიულია — ის ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო და ბრწყინვალე ადამიანიცაა. მე, როგორც საქართველოში მომუშავე მწვრთნელი, მთლიანად პლატინის ვემხრობოდი.

**ილია ნანობაშვილი**
**ნინო სილაგაძე**



# ჰართსმა გოგუას შანსი გაუჩინა

**ბევრს** ეცადა თუ ცოტას, ედინბურგის „ჰართსი“ მაინც გააფორმებს კონტრაქტს გოგიტა გოგუასთან, ოღონდ ზაფხულში — ასეთი ცნობა გაავრცელა გუშინ ედინბურგის მთავარგაზეთმა „სკოტსმენმა“.

„გულებს“ იმედი აქვთ, რომ გოგიტა ზაფხულამდე შეუთანხმდება რომელიმე კლუბს და მერე ისევ შოტლანდიაში ჩავა.

მოკლედ გავიხსენოთ, რომ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის შოტლანდიური ტრანსფერი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტმა ჩაშალა — ფიფას რეიტინგში საქართველოს დაბალი მაჩვენებლის გამო გოგუას სამუშაო ვიზა არ მისცა.

ახლა კი... „ჰართსმა“ იმდენი მოახერხა, რომ ლამის პირობა დაადებინა HOME OFFICE-ს — თუ გოგუა ზაფხულამდე დარჩენილ ოთხივე სანაკრებო მატჩში ითამაშებს (თურქეთთან, შოტლანდიასთან, ფარერებთან და ლიტვასთან), სამუშაო ვიზას მიიღებს.

„ჰართსის“ თავკაც ვალდას ივანაუსკასის თქმით, ახლა მთავარია, გოგუამ ნაკრებში ითამაშოს და კლუბიც ზაფხულში ოფიციალურად მიმართავს დასაქმების დეპარტამენტს ახალი აპელაციით.

მოკლედ, პირველი ნაბიჯი 7 თებერვალია: გოგიტა „ჰართსში“ გადასვლას თურქეთიდან იწყებს...

**ბაჩა შალამბერიძე**

# მიუნხენმა მათე ღვინიანიძე წააგო

**გერმანული** „მიუნხენ 1860“ შეშფოთებულია იმით, რომ გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მათე ღვინიანიძე თურქეთთან 7 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშია მიწვეული.

რა თქმა უნდა, მიუნხენელებს არავითარი უფლება არა აქვთ, ფეხბურთელი შეაყოვნონ და თბილისში არ გამოუშვან, რადგან 7 თებერვალი ფიფას დღეა, თუმცა...

„ჩვენ ჩვენსას ვეცადეთ და არაფერი გამოგვივიდა. ვესაუბრე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცსაც და მათეს დათმობა ვთხოვე. სამწუხაროდ, მან უარი მითხრა. ეს ის შემთხვევაა, როცა ხელები შეკრული გვაქვს და ვერაფერს გავაწყობთ“ — განუცხადა პოპულარულ „კიკერს“ „მიუნხენ 1860“-ის მენეჯერმა შტეფან როიტერმა.

„კიკერისვე“ ცნობით, ღვინიანიძემ ახლახან მოიშუშა ტრავმა და მის დაბრუნებას მიუნხენში სულმოუთქმელად ელოდნენ, მაგრამ...

„ღვინიანიძე რომ ნიჭიერი ფეხბურთელია, ისიც მოწმობს, რომ ის ნაკრებსაც ძალიან სჭირდება“ — წერს „კიკერი“.

ამგვარად, მათე გამოტოვებს ორშაბათს გასამართ მატჩს „ბურგჰაუზენთან“, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში ბოლოდან მეოთხე ადგილზეა. თავად „მიუნხენი“ კი ბუნდესლიგაში ამსვლელ სამეულს რვა ქულით ჩამორჩება.

**ბაჩა შალამბერიძე**



# თურქთა კაცები და ჯეელები

**7 თებერვალს** საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები თურქებს გაეჯიბრებიან და საამხანაგო შეხვედრებისათვის გამოძახებულთა სია თურქებმაც გამოაქვეყნეს.

ფატიჰ თერიმის გაწვრთნილი თურქეთის ეროვნული ნაკრები თბილისში ამ ფეხბურთელებით ჩამოდის:

*ვოლკან დემირელი (ფენერბაჰჩე), მეჰმეთ აურელიო (ფენერბაჰჩე), თუნჯაი სანლი (ფენერბაჰჩე), თემურ მეთანი (ფენერბაჰჩე), საბარი სარიოღლუ (გალათასარაი), არდა თურანი (გალათასარაი), გიოქან ზანი (ბეშიქთაში), იბრაჰიმ ტოროღანი (ბეშიქთაში), იბრაჰიმ უზულმეზი (ბეშიქთაში), ჰუსეინ ქიმზირი (ტრაბზონსპორი), გიოკდენიზ კარადენიზი (ტრაბზონსპორი), მეჰმეთ თოფუზი (კაისერისპორი), აიდინ თოსკალი (კაისერისპორი), გიოქან იუნალი (კაისერისპორი), სერვეთ ჩეთინი (სივასპორი), ჰაკან არიქანი (ანკარასპორი), სერკან ქირნთილი (ანკარაგიუჯიუ), სელჩუკ ინანი (მანისასპორი), ჰამიტ ალტინტოპი (შალკე, გერმანია), ჰალილ ალტინტოპი (შალკე, გერმანია), სერჰად აკინი (კიოლნი, გერმანია), ნური საჰინი (დორტმუნდი, გერმანია), თუგაი ქერიმოღლუ (ბლექბერნი, ინგლისი), ფატიჰ თეკე (ზენიტი, რუსეთი), ემრე ბელოზოღლუ (ნიუკასლი, ინგლისი).*

თურქეთის ახალგაზრდული ნაკრების სათბილისო შემადგენლობა კი ასეთია:

*ფერჰათ ოზთორუნი (გალათასარაი), სერდარ კურტულუსი (ბეშიქთაში), იბრაჰიმ ქასი (ბეშიქთაში), ოგუზ საბანჯი (მანისასპორი), უგურ უჩარი (კაისერისპორი), ილჰან პარლაკი (კაისერისპორი), ედიზ ბაჰტიაროღლუ (ანკარასპორი), ოზერ ჰურმაჩი (ანკარასპორი), უგურ იანიკდემირი (კონიასპორი), ალი გუზელდალი (ბელედიესპორი), ორჰან სამი (გენჩლერბირლიგი), ვოლქან ბაბაქანი (ისტანბულსპორი), ბარის ათასი (დიარბაქირსპორი), ალფ ერგინი (ალთაი), მეჰმეთ ბატდალი (ბურსასპორი), ეიფ ქადრი ათაოღლუ (სარიერი), ჩეიჰუნ გულსელამი (უნტერჰახინგი, გერმანია), მევლუთ ერდინჯი (სოშო, საფრანგეთი), ზაფერ იელენი (ჰანზა, გერმანია).*

ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი 13 საათზე გაიმართება მიხეილ მესხის სტადიონზე, ხოლო ეროვნული ნაკრებები ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ითამაშებენ 21 საათზე.

**ნიკა ჯორჯაძე**



ფატიჰ თერიმი

# სირაძეს ბულგარელი სულაც არ ეცინწაკება

კლაუს ტოპმიოლერი დავით სირაძეს კარგა ხანი არ იძახებდა ნაკრებში, მხოლოდ ურუგვაისთან მატჩში ენდო და არც ინანა — 25 წლის ქართველმა ფორვარდმა მშვენივრად ითამაშა.

სირაძე თურქეთთან ამხანაგურ შეხვედრაშიც ითამაშებს: ტოპიმ გვითხრა, მინდა, იმ ფეხბურთელების სიძლიერეში დავრწმუნდე, რომლებიც მხოლოდ ერთხელ, ურუგვაისთან ვნახე საქმეში და კარგად წარმოაჩინეს თავიო.

სირაძეს გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით...



— პირველ რიგში, შოთა გრიგალაშვილზე და ბექა გოცირიძეზე გკითხავ...

— ათი დღე იყვნენ აქ და მერე თბილისში დაბრუნდნენ. მეტი არაფერი ვიცი.

— კლუბში ხომ არ უთქვამთ ზაფხულში მათ შესაძლო დამატებაზე?

— არაფერი გამიგია.

— თურქეთთან ამხანაგური მატჩისთვის როდის ჩამოხვალ?

— შეკრება ორშაბათს იწყება და მაგ დროს უკვე თბილისში ვიქნები.

— წინა თამაშში „ჰანზას“ 3:0 რომ მოუგეთ, მწვრთნელმა მხოლოდ ბოლო ხუთი წუთი გათამაშა. რატომ?

— კონკრეტული მიზეზი არ უთქვამს. ისე, ჯანმრთელი ვარ და ფორმასაც არ ვუჩივი.

— შენ ნაცვლად ახალწვეული ბულგარელი თავდამსხმელი რანგელოვი ათამაშეს. როგორ ატყობ, ძირითადში დაბრუნება გაგიჭირდება?

— რანგელოვმა ჩემს პოზიციაზე კი ითამაშა, თუმც არა მგონია, მწვრთნელმა ძირითადს ჩამომაშოროს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი დამოკიდებულება არ მიგრძვნია.

— აუე-მ „დუისბურგს“ რომ მოუგოს, ქულებით გაუთანაბრდება და მესამე-მეოთხე ადგილზე აღმოჩნდება. რეალურად, ბუნდესლიგაში გადასვლა შეგიძლიათ?

— როგორ გითხრა, აუე ისეთი სახელიანი გუნდი ვერაა, როგორიც იგივე „კარლსრუე“, „ჰანზა“ და „დუისბურგი“. ჩემპიონატი რომ იწყებოდა, ბუნდესლიგაში გადასვლა არავის ღაუსახავს მიზნად, მაგრამ მოგება მოგებას მიჰყვა და ახლა უკვე ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**ილია ნანობაშვილი**

# ლომაიას პოლიგლოტობა გამოადგა

**იენის** „კარლ ცაისის“ მთავარი მწვრთნელი ჰაიკო ვებერი კმაყოფილია ქართული შენაძენებით. ვებერი დარწმუნებულია, რომ მიხეილ აშვეთიას და გიორგი ლომაიას შეუძლიათ, გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დატოვონ.

„ვფიქრობ, მშვენიერი ტრანსფერები გავჩარხეთ. მიხეილ აშვეთია, გიორგი ლომაია და ფილიპ ტაპალოვიჩი მიზნების შესრულებაში დაგვეხმარებიან... ძირითადში დამკვიდრების მეტი შანსი ქართველ ფეხბურთელებს აქვთ... ჩემთვის მოულოდნელად, ლომაიას იმაზე კარგად ესმის გერმანული, ვიდრე ველოდი, ეს კი მისი პირველნომრობის შანსებს უფრო ზრდის“ — განაცხადა ვებერმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სველი ფრე

## წინამძღვრიშვილმა გაიტანა და გაიტანეს



ბელეკში დილიდან წვიმდა და ამინდი არც „ამერისა“ და ბისტრიცას „გლორიას“ მატჩის მსვლელობისას შეცვლილა — ამან თამაშს თავისი კვალი დაატყო კიდეც.

მატჩი 1:1 დასრულდა. 55-ე წუთზე რუმინელები ზაჰარიამ დააწინაურა, ამერელთაგან კი საპასუხო 82-ე წუთზე რატი წინამძღვრიშვილმა შეაგდო გრიგოლ დოლიძის პასით.

პირველი ტაიმის საუკეთესო მომენტი „ამერმა“ შექმნა — რუმინელთა მეკარე გამოსვლაზე შეცდა, ბურთი ვერ მოიხელთა, გივი დიდავამ კი ახლო მანძილიდან დაუცველ კარს ააცილა.

მეორე ტაიმში გიორგი დეკანოსიძეს და წინამძღვრიშვილს ჰქონდათ კარგი მომენტები, მაგრამ მეკარე ალბუტმა შესაშური რეაქცია გამოავლინა. უსაქმოდ არც ზურაბ ქვაჩახია იყო და რამდენიმე ძნელი დარტყმა მანაც აილო.

„ამერი“ განსაკუთრებით გაშვებულმა გოლმა გაააქტიურა, საპასუხო გოლის მერე დარჩენილ წუთებში კი მეტოქის საჯარიმოს, ფაქტობრივად, არ მოშორებია. რუმინელებმა უხეშობას უმატეს, რის შედეგადაც რატიმ თამაშის დასრულება ვეღარ შეძლო. ბოლო წუთზე „გლორიას“ ფეხბურთელიც კი გაუძევეს.

„ამერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ქვაჩახია, ელბაქიძე, დავითნიძე, დიდავა (დ. მჭედლიშვილი 75), ჯელაძე, ბოლქვაძე (დეკანოსიძე 65), დოლიძე, ჩიკვილაძე (კაკაშვილი 75), მესხი (დობროვოლსკი 65), რ. წინამძღვრიშვილი (გრბოვიჩი 85), ს. დავითაშვილი (ჩიმაკაძე 65).*

გუშინდელი მთავარი ამბავი კი ანთალიაში „ამერის“ პრეზიდენტის ზურაბ ფოცხვერიასა და ერთ-ერთი დამფუძნებლის კოტე გოგელიას ჩამოსვლა იყო.

**გიორგი დარჯანია**
**ბელეკიდან**



# დავით მუჯირზე ჩამოკიდებული კრილია

სამარის „კრილია სოვეტოვის“ მწვრთნელ სერგეი ობორინს დავით მუჯირის ტრავმის გამო საფიქრალი გასჩენია. ობორინმა მუჯირი ჯერჯერობით ორ ვარჯიშზე ნახა და ერთხელაც მისი თამაში საკუთარ თავზე გამოსცადა, როდესაც მწვრთნელ-ფეხბურთელების მინი-ჯახში „მუმუმ“ სამი გოლი გაიტანა.

„მუჯირს და გუსინს ტრავმები წინა სეზონიდან მოჰყვებათ. ახლა ვფიქრობ, რამდენად სწორი კურსით მიუდგნენ მაშინ ექიმები მათ მდგომარეობას. განსაკუთრებით მუჯირი მაღელვებს — ის ისეთ პოზიციაზე თამაშობს, რომ ყველა ფეხბურთელთან უნდა მოასწროს შეთამაშება, რისთვისაც, სამწუხაროდ, ეს შეკრება ვერ გამოიყენა. არადა, დრო მიდის, გუნდის თამაში კი მუჯირზეა დამოკიდებული“ — განაცხადა ობორინმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გეწაძე შავ სიაში

უცნაურია, მაგრამ რიგის „სკონტომ“ რევაზ გეწაძე გუნდში არ ჩარიცხა. უცნაურია იმიტომ, რომ 21 წლის მარცხენაფლანგელს ძალიან კარგი პრესა ჰქონდა ლატვიაში, მას თითქმის სკონტოელად თვლიდნენ და უცებ...

გეწაძემ რიგის გუნდში ორი მატჩი ჩაატარა, თურქული შეკრების ბოლო ორ შეხვედრაში კი აღარ უთამაშია. „სკონტოს“ ინგლისელმა მწვრთნელმა პოლ ეშუორტმა ოთხი პოტენციური ახალწვეულიდან სამზე უარი თქვა და „შავ სიაში“ ქართველიც მოაყოლა: „სამივე მათგანს ჰქონდა თავის წარმოჩენის შანსი, თუმცა ისინი გუნდში არ იქნებიან.“

სავარაუდოდ, გეწაძე ისევ რუსთავის „ოლიმპს“ დაუბრუნდება, თუმც „სკონტოში“ წასვლამდე გვითხრა, სხვა უცხოური ვარიანტებიც მაქვს და ვნახოთო...

**ილია ნანობაშვილი**

# დინამომ გუნდურად წააგო

## გარკუშა შინ, ფაბიო შინისკენ

ანთალიაში თბილისის „დინამოს“ შეკრების მესამე ტესტ-მატჩი უკრაინული „კარპატის“ ძირითად შემადგენლობასთან ითამაშა და 0:1 წააგო.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებს პირველ ტაიმშიც და შესვენების შემდეგაც ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდათ, გუნდური შეცდომის გამო გაშვებული ერთი გოლი ვერაფრით გაქვითეს.

არადა, იყო ისეთი მომენტიც როცა საჯარიმოდან სანდრო იაშვილის დარტყმული მეკარისგან ძელმა აისხლიტა, ხოლო ლევან ხმალაძის დამატებული ხარიხას მოხვდა.

„დინამომ“ „კარპატის“ ძირითადთან ასეთი შემადგენლობით წააგო: *გრიშიკაშვილი, ლ. ნოზაძე, ზელიჩი, კრშკო, თომაშვილი, ხმალაძე, დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი, ხუციშვილი, სპასოევიჩი, სირბილაძე. მეორე ტაიმში შევიდნენ: ლორია, შ. კაშია, ოდიკაძე, ზ. ჯანაშია, ფაბიო, ს. იაშვილი, ჩირიკაშვილი, აკობია.*


რომან გარკუშა

ამ შეხვედრის შემდეგ დუშან უჰრინმა დადებითად შეაფასა დითმოელთა ჩერნიგორიელი ფორვარდის ილია სპასოევიჩის შესაძლებლობები, ხოლო ბელარუსი რომან გარკუშა „დინამოს“ უკვე დაეთხოვა, მის გზას ადგას ბრაზილიელი ფაბიოც, ხოლო სლოვაკი მილოშ კრშკო უკვე ფაქტობრივად დინამოელია.

**კობა ინასარიძე**

# დემე და სიონის ოფკ

დონეცკის „მეტალურგმა“ მორიგი საკონტროლო შეხვედრა გამართა — დონბასელები „თანამეგობრობის თასიდან“ ბოლნისის „სიონის“ გამგდებ ბელგრადის ოფკ-ს გაეჯიბრნენ ამხანაგურად.

კო ოდრიანსემ გიორგი დემეტრაძე სრულად ათამაშა. მართალია, ქართველ ფეხბურთელს თავი გოლით არ გამოურჩევია, მაგრამ აქტიურად კი ითამაშა.

მატჩი დონბასელებმა 3:1 მოიგეს, არადა, თავიდან აგებდნენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დილა კალაპოტში ჩადგა

პირველი წრის შემდეგ გორის „დილაში“ სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვალა და სეზონის განახლებას გარკვეული ამბიციებით ხვდება. ქართლელებმა უკვე მოასწრეს სამი ამხანაგური თამაშის ჩატარება და უნდა ითქვას, რომ პირველი წრის „დილას“ ნამდვილად აღარ ჰგავს.

გუნდმა უკვე დაასრულა შეკრების პირველი ეტაპი და ორიოდ დღით ისვენებს. კვირას კი ხელახლა განაახლებს ვარჯიშს.

„დილას“ პრესსამსახურის უფროს ზურაბ კარტოზიას თქმით, მეორე ეტაპის გარკვეული მონახაზი უკვე არის, გუნდი დროებით ერთჯერად ვარჯიშებზე გადავა და პარალელურად საკონტროლო ტესტ-მატჩებს გამართავს.

„დილა“ სამ ამხანაგურ თამაშს გეგმავს. ამათგან ერთი გუნდი უკვე ცნობილია — „ოლიმპი 2“-თან, ხოლო დანარჩენ მეტოქეებს ჯერ კიდევ აზუსტებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# დომენეკის 21 მამალი

7 თებერვალს ამხანაგურ მატჩს ატარებს ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი საფრანგეთი — რაიმონ დომენეკის გუნდი არგენტინას გაეჯიბრება.

„მამლების“ თავკაცმა უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებსაც ამ ტესტ-მატჩში გამოცდის.

*მეკარეები: გრეგორი კუპე (ლიონი), მიკაელ ლანდრო (პსჟ);*

*მცველები: ერიკ აბიდალი (ლიონი), ფრენსის კლერკი (ლიონი), ჟულიენ ესკუდე (სევილია, ესპანეთი), პატრის ევრა (მანჩესტერი, ინგლისი), გაელ ჟივე (მონაკო), ფილიპ მექსეში (რომა, იტალია), ვილი სანიოლი (ბაიერნი, გერმანია), სებასტიენ სკილაჩი (ლიონი), ლილიან ტურამი (ბარსელონა, ესპანეთი);*

*ნახევარმცველები: კლოდ მაკელელე (ჩელსი, ინგლისი), რიო ანტონიო მავუბა (ბორდო), ჟერემი ტულალანი (ლიონი), პატრიკ ვიეირა (ინტერი, იტალია), ფრანკ რიბერი (მარსელი);*

*თავდამსხმელები: ნიკოლა ანელკა (ბოლტონი, ინგლისი), ჯიბრილ სისე (მარსელი), სიდნეი გოვუ (ლიონი), ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), ფლორენ მალუდა (ლიონი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია).*

ევროშესარჩევი ციკლის უახლოეს მატჩში საფრანგეთი 24 მარტს ლიტვას შეხვდება.

**კახა შალამბერიძე**

# კახეთი იაშვილს და კვირკველიას იმატებს

თელავის „კახეთმა“ უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე ხელი რომ ჩაიქნია, თავადაც არაერთხელ განაცხადეს, თუმც გუნდი ვარჯიშობს და მეორე წრისთვის ემზადება.

კახელებმა ამხანაგური თამაშის გამართვაც მოასწრეს და „ლაგოდეხს“ 4:2 მოუგეს.

თელაველთაგან გოლები ამირანიძემ, ბურნაძემ, ტეტიაშვილმა და დავითაშვილმა გაიტანეს, გუნდმა კი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ჩახუტაშვილი, კობაიძე, მურველაშვილი, გერგიშვილი, ნ. დავითაშვილი, ბ. ბურნაძე, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი, გ. ხიდაშელი, მედოევი, ამირანიძე.*

„კახეთის“ მწვრთნელმა ვასილ არუდაშვილმა ეს გვითხრა: „უკვე ორჯერად ვარჯიშებზე გადავედით და ამხანაგური თამაშიც გავმართეთ, მაგრამ ეს კიდევ არ არის ჩვენი ოპტიმალური შემადგენლობა. გიგა იაშვილი დაგვიბრუნდა, „მესხეთიდან“ დავიმატეთ ჩუთლაშვილი, ალბათ, ალექსანდრე კვირკველიაც შემოგვიერთდება...

...დაგეგმილი გვაქვს კიდევ ერთი ერთი ამხანაგური მატჩი — კახეთში შეკრების გავლას თბილისის „მერანი“ აპირებს და ალბათ შევუთანხმდებით.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისელი თაღლითები

## მაკარონემ მაკლარენი იტალიიდან გალანძღა

**იტალიაში** დაბრუნებულმა მასიმო მაკარონემ თავისი ყოფილი გუნდის „მიდლსბროს“ მწვრთნელები გალანძღა. თავხოტორა ფორვარდი „ბოროში“ 2002 წელს „ემპოლიდან“, ინგლისური კლუბისთვის სარეკორდო თანხად, 8,5 მილიონ გირვანქად გადავიდა. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ მაკარონეს პრემიერლიგური კარიერა სათანადოდ არ აეწყო და ცოტა ხნის წინ მან „რივერსაიდის“ ბინადრებთან შეთანხმება გააბათილა, რის მერეც „სიენასთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

მაკარონეს „მიდლსბროში“ ყოფნისას უმეტესწილად გუნდის მწვრთნელი სტივ მაკლარენი იყო, სანამ იგი 2006 წლის ზაფხული ინგლისის ნაკრებს არ ჩაიბარებდა. ფეხბურთელმაც „გაძეტა დელო სპორტთან“ საუბრისას პირველად იგი გალანძღა.

მასიმო მაკარონე: „ბრწყინვალე“ მაკლარენი ნამდვილად ყველაზე ყალბი და მატყუარა პიროვნებაა, ვისთანაც ოდესმე ურთიერთობა მქონია. მასზე საბოლოოდ მაშინ ამიცრუვდა გული, როცა 2004 წელს ინგლისის თასის ფინალში სათადარიგოთა სკამზე დამტოვა. არადა, იქამდე ყველას უთხრა, რომ მე მისი პირველი ნომერი ვიყავი. მხოლოდ ინგლისში შეიძლება ასეთი ადამიანი ეროვნული ნაკრების მწვრთნელი გახდეს.“

მაკლარენის წასვლის შემდეგ „ბორო“ გუნდის ყოფილმა მცველმა გარეთ საუთგეიტმა ჩაიბარა და მაკარონემ კრიტიკა არც მას დააკლო: „როცა იგი ჯერ კიდევ ფეხბურთელი იყო, მითხრა, მაკლარენს შევწინააღმდეგებოდი და გუნდში ჩემი ადგილისთვის მებრძოლა. ხოლო, როცა საუთგეიტი მწვრთნელი გახდა, შემპირდა, 6-8 მატჩში ძირითად შემადგენლობაში დაგაყენებო. თუმცა დაპირებები არასოდეს აუსრულებია. შესალოა, ინგლისში ასე ხდება და ეს ნორმალურია, მაგრამ მე სხვანაირად ვიცი და ვფიქრობ, როცა კაცს სიტყვას აძლევ, ამას ფასი აქვს.“

ბოლოს კი მაკარონემ ინგლისში, კერძოდ, „მიდლსბროში“ ვარჯიშების მეთოდი მოიხსენია აუგად: „ვარჯიშების ის მეთოდები, რომლებსაც იქ იყენებენ, სულ მცირე, 25 წლის წინანდელია. „ბოროში“ თუ ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვერ ხვდები, სარეზერვო გუნდთა ერთად გავარჯიშებენ, რაც დიდი უპატივცემულობაა და გუნდურ სულზეც ცუდად მოქმედებს. ხოლო შემდეგ, როცა გეტყვიან, რომ ახალი კლუბი მოძებნო, კიდევ გთხოვენ, ბოლომდე დაიხარჯო და გუნდს მაქსიმალურად დაეხმარო, რადგან ბევრი ფეხბურთელი არ ჰყავთ. თუმცა მე ნამდვილად არ ვარ ერთადერთი, ვინც „რივერსაიდზე“ ეს ყველაფერი გადაიტანა.“

**ბიძინა ბანდელაძე**



მაკლარენი და მაკარონე

| XXII ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| კატანია | : | პალერმო |
| *ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვ.) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის* | | |
| **დღეს** | | |
| რეჯინა | : | მესინა |
| ლივორნო | : | კალიარი |
| **ხვალ** | | |
| ემპოლი | : | ატალანტა |
| ლაციო | : | კიევო |
| პარმა | : | ფიორენტინა |
| ასკოლი | : | მილანი |
| ინტერი | : | რომა |
| უდინეზე | : | სამპდორია |
| სიენა | : | ტორინო |

# იტალია

## თითქმის საჩემპიონო საღამო სან სიროზე

**ხვალ** „სან სიროზე“ სერია A-ს სეზონის მთავარი მატჩია, „ინტერი“ „რომას“ მასპინძლობს. მართალია, „ნერაძურის“ თერთმეტქულიანი უპირატესობა აქვს და სკუდეტოც თითქმის გაინაღდა, მაგრამ ამ შეხვედრას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თუ „გლადიატორები“ შეძლებენ და ამ სეზონში „ინტერს“ პირველ მარცხს აწვნევენ, ამით მილანელთა მიჯრით მოგებების თოთხმეტმატჩიანი სარეკორდო სერიაც შეწყდება და დედაქალაქელებსაც გულის სიღრმეში ისევ გაუჩნდებათ ჩემპიონობის იმედი. გავიხსენოთ ისიც, რომ პირველი წრის მატჩი „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ინტერმა“ 1:0 მოიგო, ხოლო წინა სეზონში „რომამ“ მილანში 3:2 იმარჯვა.

„ინტერის“ ლაზარეთში ამჟამად ალვარო რეკობა და მარკო ანდრეოლი არიან, ხოლო ნიკოლას ბურდისო დისკვალიფიცირებულია. რობერტო მანჩინისთვის ეს პრობლემა არ არის, რადგან პირველი ორი ისედაც იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში, ხოლო ბურდისოს ივან კორდობა შეცვლის.

ლუჩანო სპალეტის შემადგენლობასთან ცოტა უფრო სერიოზული პრობლემები აქვს. როდრიგო დეფენდი დაშავებულია. ალბერტო აკილანიმ და ჟილბერტო მარტინესმა ვარჯიში ახლახან განაახლეს და ბოლომდე მზად არ არიან. დანიელი დე როსიმ, ფილიპ მექსესმა და კრისტიან ვილჰელმსონმა კი „მილანთა“ თასის ნახევარფინალურ მატჩში მცირე ტრავმები მიიღეს, მაგრამ ექიმები ყველაფერს აკეთებენ, რომ სამივე მათგანმა ითამაშოს.

რობერტო მანჩინი: „ჩვენთვის ჩემპიონატი არ დასრულებულა. საგრძნობი უპირატესობა კი გვაქვს, მაგრამ კვირას „რომას“ ვხვდებით, რომელიც ძალიან ძლიერი და სახიფათო გუნდია. წინ კი კიდევ ბევრი მატჩია“.



რობერტო მანჩინი



ლუჩანო სპალეტი

„ეს მატჩი ჩვენი ბოლო შანსია. თუ „ინტერს“ ვერ მოვუგებთ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა დამთავრებული იქნება. მილანელებმა უკვე არაერთხელ აჩვენეს, რომ ძალიან ძლიერი და დაბალანსებული გუნდი ჰყავთ. მაშინაც კი, როცა ტაქტიკას ცვლიან, სოლიდარობას არ კარგავენ და შეცდომებს თითქმის არ უშვებენ“ — თქვა სპალეტიმ.

„მილანელებს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ თუ კვირას „რომა“ თავის თავს ემსგავსება და შესაძლებლობების გამოვლენას კარგად შევძლებთ, მოგება შეგვიძლია. თუ ეს შევძელით, სკუდეტოსთვის ბრძოლა განახლდება და შანსიც გაგვიჩნდება“ — ეს კი ჩილელი პლეიმეიკერის დავიდ პიზაროს სიტყვებია, რომელიც „რომაში“ გასულ ზაფხულს გადავიდა, მაგრამ სანახევროდ ისევ „ინტერს“ ეკუთვნის.

ოთხეულს მიახლოებული „მილანი“ ბოლო ადგილზე მყოფ „ასკოლის“ სტუმრობს. ცხადია, „როსონერის“ მხოლოდ მოგება უნდა, მაგრამ კარლო ანჩელოტის შემადგენლობასთან პრობლემები შეექმნა. „რომასთან“ თასის მატჩში ნელსონ დიდა და ფილიპო ინძაგი დაშავდნენ. ბრაზილიელი მეკარე, რომელიც ახლახან მომჯობინდა, დანიელე დე როსისთან შეჯახებისას დაშავდა და, ექიმების ვარაუდით, ერთი თვე მაინც მოუწევს უქმობა, უარეს შემთხვევაში კი ამ სეზონში საერთოდ ველარ ითამაშებს. ინძაგი კი 3-4 კვირა დაისვენებს. თუმცა ორივეს დამატებითი გამოკვლევა უნდა ჩაუტარდეს და ზუსტი პასუხი ამის მერე იქნება ცნობილი.

დიდას ნაცვლად „მილანის“ კარში შესაძლოა, „მესინადან“ ცხრა დღის წინ ნაყიდი მარკო სტორარი ჩადგეს, ანაც ავსტრალიელი ჟელკო კალაჩი. თავდასხმაში კი ანჩელოტის ალბერტო ჯილარდინო და რიკარდო ოლივეირა ჰყავს. რაც შეეხება რონალდოს, იგი ჯერ ბოლომდე მზად არ არის, მაგრამ შეიძლება, ითამაშოს.

„ასკოლი“ კი ახალგაზრდა და პერსპექტიული მიკელე პაოლუჩის იმედზეა. 20 წლის ფორვარდის დუბლმა წინა ტურში გუნდს „მესინასთან“ 3 ქულა მოუტანა და სერია A-ში დარჩენის იმედი გაუჩინა. ვთქვათ ისიც, რომ ნედო სონეტი ამ მატჩში დისკვალიფიცირებულ ვეტერან ნახევარმცველ ლუიჯი დი ბაჯოს ვერ დაიხმარს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 21 | 18 | 3 | 0 | 46:17 | 57 |
| რომა | 21 | 14 | 4 | 3 | 43:17 | 46 |
| პალერმო | 21 | 12 | 3 | 6 | 37:26 | 39 |
| ლაციო | 21 | 9 | 6 | 6 | 33:18 | 30 |
| კატანია | 21 | 8 | 6 | 7 | 29:36 | 30 |
| ემპოლი | 21 | 7 | 8 | 6 | 19:19 | 29 |
| უდინეზე | 21 | 8 | 5 | 8 | 23:25 | 29 |
| ატალანტა | 21 | 7 | 7 | 7 | 36:32 | 28 |
| მილანი | 21 | 9 | 8 | 4 | 26:17 | 27 |
| სამპდორია | 21 | 6 | 6 | 9 | 28:30 | 24 |
| სიენა | 21 | 5 | 10 | 6 | 18:22 | 24 |
| ლივორნო | 21 | 5 | 8 | 8 | 21:32 | 23 |
| ფიორენტინა | 21 | 11 | 4 | 6 | 33:21 | 22 |
| კალიარი | 21 | 4 | 10 | 7 | 16:23 | 22 |
| ტორინო | 21 | 5 | 7 | 9 | 17:27 | 22 |
| კიევო | 21 | 4 | 6 | 11 | 21:30 | 18 |
| რეჯინა | 21 | 7 | 6 | 8 | 26:28 | 16 |
| მესინა | 21 | 3 | 7 | 11 | 21:36 | 16 |
| პარმა | 21 | 3 | 6 | 12 | 17:36 | 15 |
| ასკოლი | 21 | 2 | 6 | 13 | 16:34 | 12 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მატჩია „ენიო ტარდინიზე“. „პარმა“, რომელიც აუტსაიდერთა რიგებიდან თავის დაღწევას ცდილობს, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ „ფიორენტინას“ მასპინძლობს.

სტეფანო პიოლიმ „პარმას“ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ სერია A-ში 21 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ სამი მოიგო. „ენიო ტარდინის“ ბინადრებს ახალი მფლობელი ჰყავთ, ახალგაზრდა ბიზნესმენი ტომაზო გირარდი და თუ პიოლი გუნდში ვითარებას მალე ვერ გამოასწორებს, შესაძლოა, პოსტიც დაკარგოს. „იების“ წინააღმდეგ პარმელები მარკო დონადელსა და მარიო სანტანას ვერ დაიხმარენ.

ფლორენციელები კი მორიგი სამი ქულის მოლოდინში არიან. ჩეზარე პრანდელის ფაქტობრივად სრული შემადგენლობა ჰყავს. „ფიორენტინას“ თავდასხმაში ადრიან მუტუსა და ლუკა ტონის უცვლელ წყვილს ვიხილავთ, რომელიც ამჟამად სერია A-ში ყველაზე შედეგიანია. მათზე 21 გოლი მოდის.

**გიორგი კაკაბაძე**

# რინოს წერტილი და ბილის ბოლო



**იტალიურმა** „მილანმა“ ჯენარო გატუზოსთან კონტრაქტი 2011 წლის 30 ივნისამდე გააგრძელა, რითაც წერტილი დაუსვა ჭორებს — „როსონერი“ და რინო განშორებას აპირებენო. 29 წლის ნახევარმცველით „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ჩელსი“ და სხვა კლუბები იყვნენ დაინტერესებულნი.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, გატუზოს დარად, „მილანს“ მომავალი 2011 წლამდე კლარენს ზეედორფამა, კახა კალაძემ, ანდრეა პირლომ, რიკარდო ოლივეირამ და იოან გურკუფმა დაუკავშირეს.

გატუზოს კრიერა 1994 წელს „პერუჯაში“ დაიწყო. იგი ასევე გლაზგოს „რეინჯერსსა“ და „სალერნიტანაში“ თამაშობდა. 1999-2000 წლების სეზონის მერე კი „მილანშია“, რომლის რიგებშიც სერია A-ში 218-ჯერ უთამაშია და 5 გოლი აქვს გატანილი.

„როსონერის“ ვეტერანმა მცველმა ალესანდრო კოსტაკურტამ კი განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს ფეხბურთიდან წავა. როგორც ჩანს, „ბილის“ გადაწყვეტილებაზე, რომელიც 24 აპრილს 41 წლის გახდება, „რომასთან“ წაგებულმა თასის მატჩმაც მოახდინა გავლენა. „გლადიატორებთან“ შეხვედრაში მან პირველ ტაიმში ითამაშა და რამდენჯერმე უხეშად შეცდა.

„ფეხბურთელის რანგში ეს ჩემი ბოლო სეზონია. ხუთ თვეში ბუცებს უკვე ნამდვილად ჩამოვკიდებ ლურსმანზე“ — აღნიშნა კოსტაკურტამ.

გამოცდილი მცველი კრაიერის დასრულებას გასულ ზაფხულსაც აპირებდა, მაგრამ „მილანის“ ხელმძღვანელობამ გადააფიქრებინა და კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივა. კოსტაკურტა „როსონერისთან“ ერთად თავის მე-20 სეზონს ატარებს. მას შვიდი სკუდეტო, ოთხი ჩემპიონთა ლიგა, იტალიის თასი და იტალიის ხუთი სუპერთასი აქვს მოგებული.

21 ნოემბერს ათენის აეკ-თან მატჩში „ბილი“ გახდა ყველზე ასაკოვანი ფეხბურთელი, ვისაც ჩემპიონთა ლიგაში უთამაშია. მან ბელგიელი მეკარის დენი ვერლინდენის რეკორდი დაამხო. იტალიის ნაკრებში კი კოსტაკურტა 1991-98 წლებში თამაშობდა. „სკადრა აძურას“ ღირსება მას 59-ჯერ დაუცავს.

**გიორგი ძაძაბაძე**

## პიზარო გადახარა

**მიუნხენის** „ბაიერნის“ პერუელმა ფორვარდმა კლაუდიო პიზარომ თქვა, ზაფხულში უფრო „იუვენტუსში“ გადავალ, ვიდრე „სევილიაში“. საქმე ისე მიდის, რომ პერუელი სეზონის ბოლოს ბუნდესლიგიდან წავა, რადგან კონტრაქტის ვადა ეწურება, ხოლო კლუბთან ახალ, უკეთეს კონტრაქტზე ვერ რიგდება. პიზარო ჯამაგირის მომატებას ითხოვს, „ბაიერნი“ უარზეა. ჯერ კიდევ ნოემბერში ფეხბურთელმა შეფებს ხელფასზე ჩამოუგდო სიტყვა, მაგრამ კარლ-ჰაინც რუმენიგემ მოკლედ მოჭრა: „თუკი მას შევჩენკოსავით ხელფასი უნდა, მასავით ითამაშოს“.

„ფაქტია, ჩემი ბრალი არ არის, ახალ კონტრაქტზე რომ ვერ ვრიგდებით — განაცხადა პერუელმა — ან მომცემენ იმას, რასაც ვითხოვ, ან წავალ“.

ტურინის „იუვენტუსმა“ ადრევე გამოთქვა პიზაროს გადაბირების სურვილი, რომელიც ტურინელი ემიგრანტების შთამომავალია. „იუვეს“ თაობაზე უკვე გავიგე, მაგრამ პირადად არავინ დამკავშირებია — აღნიშნა ფეხბურთელმა — ასევე ვიცი „სევილიას“ ინტერესის შესახებ, მაგრამ უფრო „იუვენტუსისკენ“ ვიხრები, რადგან „სევილიაზე“ გაცილებით დიდი კლუბია“.

**ირაკლი ნინიძე**

| XX ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| ნიურნბერგი | : | ბაიერნი |
| წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვ.) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის | | |
| **დღეს** | | |
| ვოლფსბურგი | : | ლევერკუზენი |
| არმინია | : | გლადბახი |
| აინტრახტი | : | მაინცი |
| ალემანია | : | ჰანოვერი |
| კოტბუსი | : | ბოხუმი |
| ჰერტა | : | ჰამბურგი |
| **ხვალ** | | |
| ვერდერი | : | შალკე |
| დორტმუნდი | : | შტუტგარტი |

# გერმანია
# ხუმრობა მუსიკით ბრემენში

**მსგავსი** რამ ბუნდესლიგის ისტორიაში არ მომხდარა — ორ დღეში სამი მწვრთნელი მოხსნეს. ოთხშაბათს „ბაიერნიდან“ დაითხოვეს ფელიქს მაგათი, მიონხენგლადბახის „ბორუსიადან“ იუპ ჰაინკესი, ხუთშაბათს კი მათ მიჰყვა თომას დოლი „ჰამბურგიდან“. არადა, რა თქმა უნდა, სამივე გულმოდგინედ მუშაობდა ზამთრის შესვენებისას და სულ სხვანაირად წარმოედგინათ მომავალი. დაიწყო მეორე წრე და ხუთ დღეში გამართულმა ორმა ტურმა სამი კაცის „თავი გააგორა“. ისტორიას თუ ამოვქექავთ, ვნახავთ, რომ 1992 წლის 11 მარტსაც მოუხსნიათ ორი მწვრთნელი. „ჰამბურგიდან“ გერდ-ფოლკერ შოკი, ხოლო „ბაიერნიდან“ სორენ ლერბი.

ოტმარ ჰიცფელდმა გუშინ უკვე გამართა პირველი მატჩი „ნიურნბერგთან“, თამაშამდე კი თქვა: „ისევ შინაურულად ვგრძნობ თავს, ისე, თითქოს არსად არ წავსულვარ“.

„ვოლფსბურგის“ მწვრთნელ კლაუს აუგენტალერის საქმეც ვერაა კარგად, რადგან „მგლებმა“ ბოლო ექვსი მატჩიდან ოთხი წააგეს.



თომას შააფი



მირკო სლომკა

წინა ტურში შინ „აინტრახტთან“ მარცხს გადაურჩნენ, დღეს კი „ლევერკუზენს მასპინძლობენ და თუ ვერ მოიგეს, ეგებ კლაუს აუგენტალერიც ზემოთჩამოთვლილი სამი კაცის გზას გაუყენონ. „ვოლფსბურგის“ მთავარი პრობლემა შეტევაა, 19 მატჩში 15-ზე მეტი ვერ გაიტანეს, ხოლო საშინაო 9 მატჩში მხოლოდ რვა გოლი შეაგდეს.

რაც შეეხება „ლევერკუზენს“, ოთხშაბათს „ვერდერთან“ წაგებამდე მიჯრით სამი გამარჯვებით იწონებდა თავს და, ალბათ, ეს ერთი მარცხი კალაპოტიდან ვერ ამოაგდებდა. ასე რომ, „ვოლფსბურგს“ ამჯერადაც გაუჭირდება მოგება.

„მგლებზე“ არანაკლებ „შავ დღეშია“ ბილეფილდის „არმინია“, რომელიც მწვრთნელნამოცვლილ, ბუნდესლიგაში დასარჩენად მოჯახირე გლადბახელებს მასპინძლობს. იუპ ჰაინკესის წასვლის შემდეგ სტუმრებს დროებით იოს ლუჰუკაი უთავკაცებს. „არმინია“ ცხრილის შუაში კი არის, მაგრამ 11 ნოემბრის აქეთ არ მოუგია.

„აინტრახტი“, რომელმაც ბოლოს 3 დეკემბერს „ალემანიასთან“ სტუმრად იმარჯვა და მას მერე გამარჯვების გემო დაავიწყდა, „მაინცს“ უმასპინძლებს. „მაინცმა“, პირიქით, მეორე წრე ძალიან კარგად დაიწყო — მიჯრით ორ შეხვედრაში ექვსი ქულა აიღო და ცხრილის ქვედა ნაწილიდან ამოძრომას ცდილობს. ისიცაა, რომ მაინცელთა დაცვამ ამ ორ მოგებულ მატჩში კარი მშრალად შეინახა, ხოლო „აინტრახტმა“ ბოლო ექვს თამაშში 15 გოლი გაუშვა.

„ჰანოვერი“, რომელმაც წინა ტურში ბერლინის „ჰერტასგან“ ქვა ქვაზე არ დატოვა და 5:0 მოუგო, „ალემანიას“ ჩააკითხავს.

ტურის მთავარი მატჩი ხვალ ბრემენში გაიმართება. მთლად საჩემპიონო ჯახს ვერ დავარქმევთ, რადგან ბუნდესლიგის დასრულებამდე თოთხმეტი ტურია დარჩენილი, მაგრამ „ვერდერსა“ და „შალკეს“ შორის გამოჩნდება, ვინ ვინ არის. პირველ წრეში გელზენკირხენში „მუსიკოსები“ 0:2 დამარცხდნენ და ეს კიდევ დამატებითი მოტივაციაა მათთვის. თან ბრემენში „შალკეს“ ყოველთვის უჭირს თამაში. „ხუროებმა“ ბოლო შვიდი სტუმრობიდან მხოლოდ ერთხელ, 1999 წელს შეძლეს „ვერდერის“ დამარცხება, ხუთი წააგეს და შარშან ფრე გაახერხეს. „შალკე“ 5 ნოემბრის აქეთ არ დამარცხებულა, ხოლო „ვერდერმა“ ბოლოს 10 ნოემბერს შინ „დორტმუნდთან“ წააგო.

გუშინ „ჰამბურგის“ მწვრთნელად ჰუუბ სტევენსი დანიშნეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვერდერი | | | 2:3 | 3:1 | 3:1 | 2:1 | | 1:3 | 3:0 | 3:0 | 1:1 | | 2:1 | | | | 3:0 | |
| 2 | შალკე | 2:0 | | | 2:2 | | | | 3:1 | | 2:1 | | 1:1 | 2:0 | 2:1 | 2:1 | 4:0 | | |
| 3 | შტუტგარტი | | 3:0 | | | | 3:0 | 0:3 | 1:3 | 3:2 | | | 1:1 | | | 1:0 | | 1:0 | 2:0 |
| 4 | ბაიერნი | | | 2:1 | | 4:2 | | 0:0 | 2:0 | | 0:1 | 2:1 | 2:0 | | 2:1 | 0:0 | | 1:1 | |
| 5 | ჰერტა | | 2:0 | 2:2 | | | | 2:1 | | | 4:0 | | 1:0 | 2:1 | 2:1 | 3:3 | | 2:1 | |
| 6 | ლევერკუზენი | 0:2 | 3:1 | | 2:3 | 2:1 | | | | | | 3:1 | | 1:1 | 3:0 | | 1:1 | | 1:2 |
| 7 | ნიურნბერგი | 1:2 | 0:0 | 4:1 | | | 3:2 | | 1:1 | 1:1 | 3:1 | | | | | 1:1 | 1:1 | 1:0 | |
| 8 | დორტმუნდი | | | | 3:2 | 1:2 | 1:2 | | | 1:1 | 2:2 | | | 1:0 | 0:0 | 1:1 | 1:1 | | 1:0 |
| 9 | არმინია | | 0:1 | 2:3 | 2:1 | 2:2 | 0:0 | | | | | 3:1 | | 0:0 | 5:1 | | 1:0 | | 1:1 |
| 10 | ჰანოვერი | 2:4 | | 1:2 | | 5:0 | 1:1 | | | 1:1 | | | 1:1 | | 0:3 | 0:2 | 1:0 | | |
| 11 | კოტბუსი | | 2:4 | 0:0 | | 2:0 | | 1:1 | 2:3 | | 0:1 | | 0:1 | | | | 2:0 | 3:1 | 2:2 |
| 12 | აინტრახტი | 2:6 | 1:3 | | | | 3:1 | 2:2 | 1:1 | 0:3 | | | | 0:0 | | | | 1:0 | 2:2 |
| 13 | ვოლფსბურგი | | | 1:1 | 1:0 | 0:0 | | 1:1 | | | 1:2 | 0:0 | 2:2 | | 1:2 | | | | 1:0 |
| 14 | ალემანია | 2:2 | 0:1 | 2:4 | | | 2:3 | 1:1 | | | | 1:2 | 2:3 | | | 2:1 | | 4:2 | 3:3 |
| 15 | ბოხუმი | 0:6 | | | 1:2 | | 1:3 | | | 2:1 | | 0:1 | 4:3 | 0:1 | | | 0:1 | 2:0 | 2:1 |
| 16 | მაინცი | 1:6 | | 0:0 | 0:4 | 1:1 | | | 1:0 | | | | 1:1 | 1:2 | 1:3 | 2:1 | | | 0:0 |
| 17 | მიონხენგლადბახი | | 0:2 | | | | 0:2 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 0:1 | 2:0 | | 3:1 | | | 1:1 | | |
| 18 | ჰამბურგი | 1:1 | 1:2 | | 1:2 | 1:1 | | 0:0 | | 1:1 | 0:0 | 1:1 | | | | | | 1:1 | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვერდერი | 19 | 13 | 3 | 3 | 52:22 | 42 | 7 | 1 | 2 | 23:11 | 22 | 6 | 2 | 1 | 29:11 | 20 |
| 2 | შალკე | 19 | 13 | 3 | 3 | 34:19 | 42 | 7 | 2 | 0 | 20:7 | 23 | 6 | 1 | 3 | 14:12 | 19 |
| 3 | შტუტგარტი | 19 | 10 | 5 | 4 | 32:25 | 35 | 6 | 1 | 2 | 15:9 | 19 | 4 | 4 | 2 | 17:16 | 16 |
| 4 | ბაიერნი | 19 | 10 | 4 | 5 | 32:22 | 34 | 6 | 3 | 1 | 15:7 | 21 | 4 | 1 | 4 | 17:15 | 13 |
| 5 | ჰერტა | 19 | 8 | 6 | 5 | 30:30 | 30 | 7 | 2 | 0 | 20:9 | 23 | 1 | 4 | 5 | 10:21 | 7 |
| 6 | ლევერკუზენი | 19 | 8 | 4 | 7 | 31:28 | 28 | 4 | 2 | 3 | 16:12 | 14 | 4 | 2 | 4 | 15:16 | 14 |
| 7 | ნიურნბერგი | 19 | 5 | 12 | 2 | 25:17 | 27 | 4 | 5 | 1 | 16:10 | 17 | 1 | 7 | 1 | 9:7 | 10 |
| 8 | დორტმუნდი | 19 | 6 | 7 | 6 | 24:24 | 25 | 3 | 5 | 2 | 12:11 | 14 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| 9 | არმინია | 19 | 5 | 8 | 6 | 26:23 | 23 | 4 | 4 | 2 | 16:10 | 16 | 1 | 4 | 4 | 10:13 | 7 |
| 10 | ჰანოვერი | 19 | 6 | 5 | 8 | 21:29 | 23 | 2 | 3 | 4 | 12:14 | 9 | 4 | 2 | 4 | 9:15 | 14 |
| 11 | კოტბუსი | 19 | 5 | 6 | 8 | 22:26 | 21 | 3 | 3 | 4 | 14:13 | 12 | 2 | 3 | 4 | 8:13 | 9 |
| 12 | აინტრახტი | 19 | 4 | 9 | 6 | 25:33 | 21 | 2 | 4 | 3 | 12:18 | 10 | 2 | 5 | 3 | 13:15 | 11 |
| 13 | ვოლფსბურგი | 19 | 4 | 8 | 7 | 15:20 | 20 | 2 | 5 | 2 | 8:8 | 11 | 2 | 3 | 5 | 7:12 | 9 |
| 14 | ალემანია | 19 | 5 | 4 | 10 | 31:38 | 19 | 2 | 3 | 5 | 19:22 | 9 | 3 | 1 | 5 | 12:16 | 10 |
| 15 | ბოხუმი | 19 | 5 | 4 | 10 | 22:31 | 19 | 4 | 0 | 6 | 12:19 | 12 | 1 | 4 | 4 | 10:12 | 7 |
| 16 | მაინცი | 19 | 3 | 8 | 8 | 13:30 | 17 | 2 | 4 | 4 | 8:18 | 10 | 1 | 4 | 4 | 5:12 | 7 |
| 17 | მიონხენგლადბახი | 19 | 4 | 4 | 11 | 14:26 | 16 | 4 | 2 | 3 | 8:7 | 14 | 0 | 2 | 8 | 6:19 | 2 |
| 18 | ჰამბურგი | 19 | 1 | 12 | 6 | 18:24 | 15 | 0 | 7 | 2 | 7:9 | 7 | 1 | 5 | 4 | 11:15 | 8 |

# ლივერპულს ჯილეტით გაპარსავენ

## მოჰამედს ჯორჯმა გზა გადაუჭრა



ჯორჯ ჯილეტმა ლივერპულისკენ გასწია

**შეიხი მოჰამედი** მიდის და ამერიკელები მოდიან — ასეა „ლივერპულის“ საქმე.

ახლა უფრო დაწვრილებით: „სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ დუბაის შეიხი მოჰამედი, უფრო სწორად კი მისი კომპანია „დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალი“ მზად იყო „ლივერპულში“ 450 მილიონი ინგლისური გირვანქა ანუ 680, 339 ევრო გადაეხადა. გარდა ამისა, კომპანია აპირებდა „სტენლი პარკში“ ახალი სტადიონის აშენებასა და კლუბის 80 მილიონ გირვანქიანი ანუ 129, 828 მილიონ ევროიანი ვალის გასტუმრებას. გეგმის თანახმად „ლივერპული“ ახალ სარბიელზე 2009-2010 წლების სეზონში უნდა გადაბარგებულიყო და, რაც ყველაზე საინტერესოა, ეს ყველაფერი მხოლოდ ზოგადად კი არ იყო ნაფიქრ-შეთანხმებული, არამედ საკმაოდ დაწვრილებითი გეგმებიც არსებობდა, მაგრამ...

თებერვალი დუბაელთათვის შოკით დაიწყო. შედეგად, ყველაფერ იმაზე, როც ზემოთ მოგახსენეთ, მათ ხელი აიღეს. მაინც რა მოხდა ასეთი? რა მოხდა და წინა კვირის პარასკევს მათ შეიტყვეს, რომ კლუბი, რომელსაც ყიდულობენ და რომლის ასაღორძინებლადაც დიდძალი ფულის დახარჯვას აპირებენ, შეიძლება ამერიკელმა ბიზნესმენმა ჯორჯ ჯილეტმა შეიძინოს. ბუნებრივია, არაბებმა კლუბის ახლანდელ მეწილეებს და მათ შორის ყველაზე მსხვილს დევიდ მურს ჰკითხეს საიდან გამოჩნდა ეს ჯილეტი, რაზეც პასუხად ისეთი რამ მიიღეს, რომ ორთვიან ნამუშევარზე ხელი ჩაიქნიეს.

კანონები კი ისეთია, რომ, ერთი შეხედვით მოულოდნელად გამოჩენილ ჯილეტს დუბაელთა მიერ შეთავაზებულ თანხაზე ნაკლების გადახდის უფლება არ აქვს, თუმცა, მოდი ზოგად ლაპარაკს თავი დავანებოთ. წინასწარი მონაცემებით ცნობილი გახდა, რომ ამერიკელისთვის „ლივერპული“ 470 მილიონი გირვანქა ანუ 710, 576 მილიონი ევრო ეღირება.

ფული ფულად და ერთი ამ კაცის დოსიესაც ჩავხედოთ, მით უფრო რომ, სენსაცია სენსაციას მოსდევს — გაირკვა, რომ ჯორჯ ჯილეტი „ლივერპულის“ ყიდვას მარტო სულაც არ აპირებს, რადგან ამდენი ფული არ აქვს (მისი ქონება დაახლოებით 867 მილიონი დოლარია). მას თურმე პარტნიორი მოჰყავს, 50 პროცენტიანი მეწილე, რომელსაც თომას ჰიქსი ჰქვია.

აი, თომას ჰიქსი მილიარდერი ყოფილა, ჯილეტზე განუზომლად მდიდარი და [illegible] ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს ბევრი ფული რომ აქვს (პრეზიდენტობამდე, ბიზნესით ნაშოვნ ფულზეა ლაპარაკი) სწორედ მისი ძმაკაცის, ბატონი ჰიქსის დამსახურება ყოფილა. მერედა, ბატონი ჰიქსი სპორტის დიდი მოტრფიალეც ბრძანებულა. მას თურმე ეკუთვნის ჰოკეის გუნდი „დალას სტარზი“ და ბეისბოლის „ტექსას რეინჯერსი“, რომლისთვისაც შვიდი წლის წინ, ვარსკვლავ ალექს როდრიგესისთვის 10 წლით 344 მილიონ დოლარიანი კონტრაქტი გაუფორმებია. სხვათა შორის, ეს „რეინჯერსი“ ჰიკსს 1998 წელს სწორედ ბუშისგან ჰქონია ნაყიდი.

სპორტი უყვარს ჯილეტსაც, მისი გუნდია ჰოკეის „მონრეალ კანადიენსი“.

**პაპუნა ქედია**

Copa Toyota Libertadores '2007

### ლიბერტადორესის თასი 2007

შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩები

კობრელოა — პარანა 0:2; ტაკუარი — ლიგა დე კიტო 1:1

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| უოტფორდი | : | ბოლტონი |
| უიგანი | : | პორტსმუთი |
| ასტონ ვილა | : | ვესტ ჰემი |
| ბლექბერნი | : | შეფილდი |
| ჩარლტონი | : | ჩელსი |
| ფულემი | : | ნიუკასლი |
| ლივერპული | : | ევერტონი |
| სიტი | : | რედინგი |
| მიდლსბრო | : | არსენალი |
| **ხვალ** | | |
| ტოტენჰემი | : | მანჩესტერი |

## ინგლისი

# კუიტმა ესთეტიკას ხაზი გადაუსვა



დირკ კუიტი

**რაპი** „მანჩესტერი“ ხვალ თამაშობს, „ჩელსის“ დღეს შეუძლია, ერთი დღით მაინც, ლიდერთან სხვაობა სამ ქულამდე შეამციროს. საამისოდ ჟოზე მაურინიუს გუნდმა აუტსაიდერ „ჩარლტონს“ სტუმრად უნდა მოუგოს, პორტუგალიელი მწვრთნელი კი ამბობს, რომ „ჩარლტონის“ სისუსტემ „ჩელსი“ არ უნდა მოადუნოს, თორემ ქულების დაკარგვის შემთხვევაში ჩემპიონობისთვის ბრძოლას გაურთულებს. დღევანდელ მატჩში, ალბათ, ძირითად შემადგენლობაში იქნება ჩელსელთა ტრავმამოშუშებული კაპიტანი ჯონ ტერი.

მაურინიუმ თქვა: „ჩვენ არ გვაქვს უფლება, ექვსქულიანი სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდოს და მის შემცირებაზე უნდა ვიზრუნოთ“. შუა კვირაში „ბლექბერნთან“ 3:0 მოგებულ მატჩში გამოჩნდა ისევ ძველი, მძლავრი „ჩელსი“ და ეტყობათ, რომ კლუბის სამზარეულოში პრობლემები მეტ-ნაკლებად მოგვარდა. ამ შეხვედრაში დაშავდა მარცხენა მცველი ეშლი კოული, რომელმაც მუხლის ტრავმა მიიღო და, ალბათ, სეზონის ბოლომდე გამოკეთდება.

„ჩარლტონი“ კი ალან პერდიუს მისვლის შემდეგ ცოტა გონზე მოვიდა, სტუმრად ორ მატჩში ოთხი ქულა აიღო. ჯერ მეექვსე ადგილზე მყოფ „პორტსმუთს“ მოუგო 1:0, ხოლო ბოლტონიდან ქულა წაიღო. მწვრთნელ ალან პერდიუს სჯერა, რომ ამ თამაშების შემდეგ გუნდი ფსიქოლოგიურად მომჯობინდება და „ჩელსისაც“ ბრძოლას გაუმართავენ. „ბიჭებმა ბოლტონში ლომებივით იბრძოლეს და ახლა უფრო თავისუფლად ვითამაშებთ „ჩელსისთანაც“ და შემდეგ „მანჩესტერთანაც“ — განაცხადა პერდიუმ.

„მანჩესტერს“ კი „უოტფორდთან“ 4:0 გამარჯვების მერე ხვალ მძიმე თამაში ელის „ტოტენჰემთან“, რომელსაც უკვე ოთხი ტურია, არ მოუგია. ალექს ფერგიუსონის „პრობლემა“ ისაა, თუ ვინ დააყენოს შეტევაში, რადგან ლუის სააც, უეინ რუნიც და ჰენრიკ ლარსონიც კარგ ფორმაში არიან. შვედმა პირველი პრემიერლიგური გოლი რუნის პასით „უოტფორდთან“ გაიტანა და ინგლისელი აქო: „როცა გუნდში რუნისთანა ფეხბურთელი გყავს, ყოველთვის გაქვს გოლის გატანის შანსი. არ მეგონა, თუ 35 წლისა ასეთ კარგ ფეხბურთელებთან მოვხვდებოდი, კრიშტიანუ რონალდუსთან ერთად თამაშიც სიამოვნებაა.“

საუცხოოდ მოთამაშე „ლივერპული“ კი მერსისაიდულ დერბიში „ევერტონს“ დაეჯახება, რომელთანაც პირველ წრეში 0:3 წააგო და რევანშს აპირებს. „ევერტონთან“ ბოლო შეხვედრა ძალიან მაწევს გულზე და ვიმედოვნებ, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება — თქვა „ლივერპულის“ ჰოლანდიელმა ფორვარდმა დირკ კუიტმა, ვინც „ვესტ ჰემთან“ ბრწყინვალე გოლი გაიტანა — ჩემპიონატის ამ ეტაპზე თამაშის ესთეტიკური მხარე მთავარი არაა, მთავარია მოგება. ყოველი მომდევნო მატჩი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია“.

ლიგის თასის ფინალში გასული „არსენალი“ კი „მიდლსბროს“ ესტუმრება, რომელიც ძალიან კარგ ფორმაშია. ბოლო ოთხ მატჩში სამი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და 11 გოლი გაიტანა.

„არსენალს“ კვლავ არ ეყოლება ტრავმირებული ჟულიო ბაპტისტა, ფრედი ლიუნგბერგი, ალექსანდრ გლები და უილიამ გალასი. მსუბუქად დაშავებულები არიან ემანუელ ადებაიორი და ემანუელ ებუე.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 1:1 | 2:0 | 0:1 | | 3:0 | 3:2 | 3:0 | 2:0 | 1:0 | | | 3:1 | 3:1 | 5:1 | | 3:1 | | | 4:0 |
| 2 | ჩელსი | | | 1:0 | 1:1 | | 2:1 | 2:2 | | 1:0 | | | 3:0 | 3:0 | 1:1 | 2:2 | | 4:0 | 1:0 | 2:1 | 4:0 |
| 3 | ლივერპული | | 2:0 | | | 3:0 | 0:0 | 2:0 | | 2:0 | 3:0 | | 1:1 | 1:0 | 3:1 | 4:0 | | | 2:1 | | 2:0 |
| 4 | არსენალი | 2:1 | | 3:0 | | | 2:2 | | 1:1 | 1:1 | 3:0 | 1:1 | 6:2 | | 1:1 | | 3:0 | | | 4:0 | 3:0 |
| 5 | ბოლტონი | 0:4 | 0:1 | 2:0 | 3:1 | | 3:2 | | | 2:1 | 2:0 | 0:0 | | 0:0 | | | | 0:1 | 4:0 | 1:1 | 1:0 |
| 6 | პორტსმუთი | | | | | 0:1 | | 3:1 | 2:0 | | 1:1 | 0:0 | 3:0 | | 2:2 | 1:1 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 0:1 | 2:1 |
| 7 | რედინგი | 1:1 | 0:1 | | 0:4 | 1:0 | | | 0:2 | | 3:1 | 3:2 | 1:2 | 1:0 | | | 3:1 | 3:2 | 6:0 | 2:0 | |
| 8 | ევერტონი | | 2:3 | 3:0 | | 1:0 | | 1:1 | | 3:0 | | 0:0 | | 1:1 | 0:1 | | 2:0 | 2:2 | 2:0 | | 2:1 |
| 9 | ნიუკასლი | 2:2 | | | | 1:2 | 1:0 | 3:2 | 1:1 | | 3:1 | | | | 3:1 | 1:2 | 0:1 | 2:1 | 2:2 | 0:0 | 2:1 |
| 10 | ტოტენჰემი | | 2:1 | 0:1 | | | 2:1 | | 0:2 | 2:3 | | 2:1 | | | 2:1 | 0:0 | 2:0 | 3:1 | 1:0 | 5:1 | |
| 11 | მიდლსბრო | 1:2 | 2:1 | 0:0 | | 5:1 | 0:4 | | 2:1 | 1:0 | | | 0:1 | | | | 3:1 | 1:1 | 1:0 | 2:0 | |
| 12 | ბლექბერნი | 0:1 | 0:2 | 1:0 | 0:2 | 0:1 | | | 1:1 | 1:3 | 1:1 | 2:1 | | 4:2 | | 2:0 | | 2:1 | | | |
| 13 | სიტი | | | | 1:0 | 0:2 | 0:0 | | 2:1 | 0:0 | 1:2 | 1:0 | 0:3 | | | 3:1 | 0:0 | | 2:0 | | 0:0 |
| 14 | ასტონ ვილა | 0:3 | 0:0 | | | 0:1 | | 2:1 | | 2:0 | 1:1 | 1:1 | 2:0 | 1:3 | | 1:1 | | | | 2:0 | 2:0 |
| 15 | ფულემი | | 0:2 | | 2:1 | 1:1 | | 0:1 | 1:0 | | 1:1 | 2:1 | | | | | 1:0 | 0:1 | 0:0 | 2:1 | 0:0 |
| 16 | შეფილდი | 1:2 | 0:2 | 1:1 | 1:0 | 2:2 | 1:1 | 1:2 | | | | 2:1 | 0:0 | 0:1 | 2:2 | 2:0 | | | | 2:1 | |
| 17 | უიგანი | 1:3 | 2:3 | 0:4 | 0:1 | | | 1:0 | 0:2 | | | | 0:3 | 4:0 | 0:0 | | 0:1 | | | 3:2 | 1:1 |
| 18 | ვესტ ჰემი | 1:0 | | 1:2 | 1:0 | | 1:2 | 0:1 | | 0:2 | | | 2:1 | 0:1 | 1:1 | 3:3 | 1:0 | 0:2 | | 3:1 | |
| 19 | ჩარლტონი | 0:3 | | 0:3 | 1:2 | 2:0 | 0:1 | | 1:1 | | | 1:3 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 2:2 | | | | | 0:0 |
| 20 | უოტფორდი | 1:2 | | 0:3 | 1:2 | | | 0:0 | | | 0:0 | 2:0 | 2:1 | | 0:0 | 3:3 | 0:1 | : | 1:1 | | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 25 | 19 | 3 | 3 | 57:18 | 60 | 11 | 1 | 1 | 33:8 | 34 | 8 | 2 | 2 | 24:10 | 26 |
| 2 | ჩელსი | 25 | 16 | 6 | 3 | 44:19 | 54 | 9 | 4 | 0 | 27:8 | 31 | 7 | 2 | 3 | 17:11 | 23 |
| 3 | ლივერპული | 25 | 15 | 4 | 6 | 39:17 | 49 | 10 | 2 | 0 | 25:3 | 32 | 5 | 2 | 6 | 14:14 | 17 |
| 4 | არსენალი | 24 | 13 | 6 | 5 | 45:20 | 45 | 7 | 5 | 0 | 30:9 | 26 | 6 | 1 | 5 | 15:11 | 19 |
| 5 | ბოლტონი | 25 | 12 | 5 | 8 | 29:27 | 41 | 7 | 3 | 3 | 18:11 | 24 | 5 | 2 | 5 | 11:16 | 17 |
| 6 | პორტსმუთი | 25 | 10 | 8 | 7 | 34:24 | 38 | 7 | 4 | 2 | 20:9 | 25 | 3 | 4 | 5 | 14:15 | 13 |
| 7 | რედინგი | 25 | 11 | 4 | 10 | 37:34 | 37 | 8 | 1 | 4 | 24:16 | 25 | 3 | 3 | 6 | 13:18 | 12 |
| 8 | ევერტონი | 24 | 9 | 8 | 7 | 31:23 | 35 | 6 | 4 | 2 | 19:9 | 22 | 3 | 4 | 5 | 12:14 | 13 |
| 9 | ნიუკასლი | 25 | 9 | 6 | 10 | 31:33 | 33 | 6 | 4 | 3 | 21:16 | 22 | 3 | 2 | 7 | 10:17 | 11 |
| 10 | ტოტენჰემი | 24 | 9 | 6 | 9 | 29:32 | 33 | 8 | 1 | 3 | 21:12 | 25 | 1 | 5 | 6 | 8:20 | 8 |
| 11 | მიდლსბრო | 25 | 8 | 7 | 10 | 29:29 | 31 | 7 | 2 | 3 | 18:12 | 23 | 1 | 5 | 7 | 11:17 | 8 |
| 12 | ბლექბერნი | 25 | 9 | 4 | 12 | 28:36 | 31 | 5 | 2 | 5 | 14:15 | 17 | 4 | 2 | 7 | 14:21 | 14 |
| 13 | სიტი | 24 | 8 | 6 | 10 | 19:28 | 30 | 5 | 4 | 3 | 10:9 | 19 | 3 | 2 | 7 | 9:19 | 11 |
| 14 | ასტონ ვილა | 25 | 6 | 11 | 8 | 27:31 | 29 | 5 | 4 | 3 | 14:11 | 19 | 1 | 7 | 5 | 13:20 | 10 |
| 15 | ფულემი | 25 | 6 | 11 | 8 | 26:38 | 29 | 5 | 4 | 3 | 10:9 | 19 | 1 | 7 | 5 | 16:29 | 10 |
| 16 | შეფილდი | 25 | 7 | 6 | 12 | 21:33 | 27 | 4 | 5 | 4 | 15:15 | 17 | 3 | 1 | 8 | 6:18 | 10 |
| 17 | უიგანი | 24 | 6 | 4 | 14 | 25:41 | 22 | 3 | 2 | 7 | 12:20 | 11 | 3 | 2 | 7 | 13:21 | 11 |
| 18 | ვესტ ჰემი | 25 | 5 | 5 | 15 | 18:40 | 20 | 5 | 2 | 6 | 14:16 | 17 | 0 | 3 | 9 | 4:24 | 3 |
| 19 | ჩარლტონი | 25 | 5 | 5 | 15 | 20:44 | 20 | 4 | 3 | 5 | 11:16 | 15 | 1 | 2 | 10 | 9:28 | 5 |
| 20 | უოტფორდი | 24 | 2 | 9 | 13 | 14:36 | 15 | 2 | 5 | 4 | 10:13 | 11 | 0 | 4 | 9 | 4:23 | 4 |





# გაგო ბაჭიას ეპატიჟება

**არგენტინელ** ხავიერ სავიოლასთან დაკავშირებულმა საკონტრაქტო სიტუაციამ და „ბაჭიას“ ბოლოდროინდელი განცხადებების ექომ მადრიდამდე ჩააღწია. „რეალში“ მოთამაშე აგრენტინელები, ხავიერის მეგობრები, ძმაბიჭს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ეპატიჟებიან. მათი თქმით, თუ სავიოლამ „ბარსელონას“ დატოვება მოისურვა, „რეალზე“ უკეთეს სამომავლო სარბიელს ვერ მოძებნის.

ერთ-ერთი იმათგანი, ვინც „ბაჭიას“ „ბერნაბეუზე“ სიხარულით შეხვდება, ფერნანდო გაგოა, „ბოკა ხუნიორსის“ ყოფილი ნახევარმცველი. გაგო „რეალში“ იანვრის სატრანსფერო ბაზის დროს გადავიდა და ახლა მადრიდულ გრანდში თავისი მეგობრის გადაბარგებასაც ელოდება. „შესანიშნავი იქნება, ხავიერ სავიოლამ „ბარსელონას“ შემდეგ თავის ახალ გუნდად მადრიდის „რეალი“ რომ აირჩიოს“ — განაცხადა გაგომ ჟურნალისტებთან.

პატაგონიელი ნახევარმცველი სავიოლას „რეალში“ დაუყოვნებელი გადასვლის მომხრეა. „რაც უფრო მალე მოხდება ეს ამბავი, მით უკეთესი. თუ ხავიერს მადრიდში თამაშის შანსი მიეცემა, მას სიხარულით მივიღებთ. იგი შესანიშნავი ფეხბურთელია და ჩემი კარგი მეგობარიც. „რეალში“ არავინაა „ბაჭიას“ ჩარიცხვის წინააღმდეგი“ — თქვა ფერნანდო გაგომ.

„ბარსელონას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა კი სულ სხვას ამბობს. კატალონიელთა თავკაცმა იქაურ „სპორტთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ბარსელონელი ფანების საყვარელი ფეხბურთელის მადრიდში გადასვლას არ დავუშვებთო. „სავიოლასნაირი პროფესიონალის გუნდიდან გაშვება შეცდომა იქნებოდა“ — განაცხადა პრეზიდენტმა ლაპორტამ.

მადრიდული პერიპეტიები და სამეფო ოტორების მიპატიჟებები სავიოლას საეჭვო განცხადების შემდეგ დაიწყო. „ბაჭიამ“ პრესკონფერენციაზე თქვა, თუ „რეალი“ სატრანსფერო წინადადებით მიმართავდა, იგი უარს უმალვე არ ეტყოდა. „უზრდელობა იქნება, მადრიდის „რეალს“ სატრანსფერო შემოთავაზებაზე პირდაპირ უარი რომ სტკიცო“ — თქვა მაშინ „ბაჭიამ“. თუმცა ერთი დღის შემდეგ „სპორტს“ ამგვარად უთხრა: „მე „ბარსელონაში“ დარჩენა მსურს. ის, რაც გუშინ ვთქვი, მხოლოდ წამიერი, ხმამაღალი ფიქრი იყო და სხვა არაფერი“...

ფერნანდო გაგოს კი თავისი პრობლემებიც აწუხებს. არგენტინელმა პრიმერას გასულ ტურში „ელ მადრიგალზე“ ტრავმა მიიღო, თუმცა იმედი აქვს, რომ კვირას „ლევანტესთან“ თამაშს მაინც მოახერხებს: „ექიმები მეუბნებიან, რომ აჩქარება საჭირო არ არის. „ლევანტესთან“ მოედანზე გასვლა სულით და გულით მინდა, ოღონდ არც ის მინდა, ტრავმა გამირთულდეს“.

**ლადო ხომერიკი**

## ესპანეთი

| XXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ესპანიოლი | : | სარაგოსა |
| დეპორტივო | : | მალიორკა |
| ვალენსია | : | ატლეტიკო |
| **ხვალ** | | |
| სელტა | : | ხიმნასტიკი |
| უელვა | : | ვილიარეალი |
| რეალი | : | ლევანტე |
| სევილია | : | სოსიედადი |
| ბილბაო | : | ბეტისი |
| რასინგი | : | ხეტაფე |
| ოსასუნა | : | ბარსელონა |

# შივანო ესპანიოლი

**„ესპანიოლის“** მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ თავის კლუბთან კონტრაქტი ახლახან გაახანგრძლივა. დღეს ვალვერდეს მიზანი ბარსელონელთა საომრად შემართვა და „სარაგოსასთან“ შინაური გამარჯვებით, წინა ტურში აუტსაიდერ „ხიმნასტიკთან“ მარცხის დავიწყება იქნება. „ესპანიოლს“ არ ეყოლება სანქცირებული ივან დე ლა პენია, ხოლო მუხლმტკივანი ურტადოს ბურთაობა საეჭვოა. „სარაგოსა“ ტრავმირებულ პაბლო აიმარს მოისაკლისებს. არაგონელებმა ამას წინათ სამეფო თასზე „ბარსელონა“ დაამარცხეს, ახლა კი მეორე კატალონიური გუნდის შემუსვრას შეეცდებიან.

„დეპორტივო“ „მალიორკას“ მშვენიერ გუნებაზე მყოფი მასპინძლობს. გალისიელებმა თასზე დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს და ნახევარფინალში გასვლაც თითქმის განაღდებული აქვთ. ხოაკინ კაპაროსის გუნდს კუნძულელებთან დაჯარიმებული ტაბორდა არ ეყოლება, „მალიორკას“ კი ცნობილი შუფთისთავი სერხიო ბალესტეროსი გამოაკლდება — ისიც სანქცირებულია. დიეგო ტრისტანის ნაცვლად კი რამისი შეიძლება ვიხილოთ.

„მესტალიაზე“ ერთმანეთს ცხრილის მეზობლები, „ვალენსია“ და „ატლეტიკო“ შეერკინებიან. „ვალენსია“ „დაჭრილია“, წინა ტურში „ბეტისთან“ წააგო და დღეს შინაურ არენაზე ქულების დაკარგვა „ლამურათათვის“ მეტად მძიმე ასატანი იქნება. თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ საამსეზონო „ატლეტიკოს“ სტუმრად უფრო გამოსდის თამაში, ვიდრე შინაურ „ვისენტე კალდერონზე“.

კვირას „უელვას“ „ვილიარეალის“ წინააღმდეგ თამაშში დაჯარიმებული არსო არ ეყოლება, „ყვითლები“ კი ისევ რიკელმეს გარეშე რჩებიან — არგენტინელთან დაკავშირებით ჯერ სიტუაცია არ გარკვეულა. „ვილიარეალმა“ გასულ ტურში „რეალი“ გააკრა ბეჭებზე და, ცხადია, გადასარევ განწყობაზეა.

„სევილია“ „სოსიედადს“ დაუხვდება. პირველს პრიმერას ლიდერობა უნდა, მეორეს — სეგუნდაში გასავარდნი ადგილებიდან გამოღწევა. „სევილიას“ სავარაუდოდ, ტრავმირებული ახალგაზრდა ნახევარმცველი ხოსება გარმენდია გამოაკლდება, თუმცა ფრან იესტე, ხავი კასასი და ხავი მარტინესი გამოჯანმრთელდნენ და თამაშს შეძლებენ.

„რასინგი“ „ხეტაფეს“ წინააღმდეგ დავიდ აგანსოს გარეშე ითამაშებს. ამ თავდამსხმელს რთული ტრავმა აწუხებს და სამი თვე გაუცდება.

ბერნდ შუსტერის „ხეტაფე“ მშვენიერ ფორმაშია. მადრიდულმა გუნდმა უკვე თვეზე მეტია, რაც წაგების გემო არ იცის.

„სელტა“ წყალწაღებულ „ხიმნასტიკთან“ ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებული წარსდგება. ვიგოურ კლუბს იანვრის სატრანსფერო ბაზარზე ფრანგმა ჰაბიბ ნომვაია ბამოგომ და პორტუგალიელმა მიგელ ალეშანდრე არეიას ლოპესმა მიაკითხეს.

„რეალი“ რონალდოს გარეშე პირველ ოფიციალურ მატჩს გამართავს. „კიჭა“ უკვე მილანელია, მადრიდელებს კი „ბერნაბეუზე“ „ლევანტე“ ჰყავთ დასამარცხებელი. რაული, როგორც თავად აცხადებს, უკვე გამოჯანმრთელდა და ზღვისპირელებთან თამაშს აპირებს. „ლევანტეს“ ტრავმირებული ალვარო ლუიშ მაიორი დააკლდება.

„რეინო დე ნავარაზე“ „ოსასუნა“ პრიმერას თაოსანს, „ბარსელონას“ მასპინძლობს. ორივე გუნდმა თასზე წაგება ნახა და, ცხადია, შეეცდებიან, ფანები ჩემპიონატის მატჩში მაინც გაახარონ. ეტოომ ხუთშაბათს ივარჯიშა გუნდთან ერთად, მართალია, კამერუნელი „ოსასუნასთან“ ვერ ითამაშებს, მაგრამ, ექიმთა განცხადებით, 11 თებერვალს „რასინგთან“ მის მოედანზე გამოსვლას წყალი არ გაუვა.



ივან დე ლა პენია

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 3:1 | | 1:1 | 1:1 | 3:1 | | 3:0 | 4:0 | 3:0 | | | | | | | 3:1 | | 1:0 | 3:0 | 20 | 12 | 6 | 2 | 43:18 | 42 | 8 | 2 | 0 | 25:5 | 26 | 4 | 4 | 2 | 18:13 | 16 |
| 2 | სევილია | | | 2:1 | 3:0 | | | 1:0 | | | 2:0 | | | 1:2 | 4:0 | | 3:2 | | 4:0 | | 2:1 | 20 | 13 | 2 | 5 | 41:21 | 41 | 8 | 0 | 1 | 22:6 | 24 | 5 | 2 | 4 | 19:15 | 17 |
| 3 | რეალი | 2:0 | | | | 1:1 | 1:0 | | 0:3 | 0:0 | | | 3:1 | | | 2:1 | | 1:2 | | 2:0 | | 20 | 12 | 2 | 6 | 28:17 | 38 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 17 | 7 | 0 | 4 | 16:9 | 21 |
| 4 | ვალენსია | | | 0:1 | | | | 2:0 | | | 1:0 | | | 3:1 | 4:0 | 1:1 | 2:1 | | 3:0 | | 4:0 | 20 | 11 | 3 | 6 | 29:17 | 36 | 7 | 1 | 1 | 20:4 | 22 | 4 | 2 | 5 | 9:13 | 14 |
| 5 | ატლეტიკო | | 2:1 | | 0:1 | | 0:1 | 1:0 | 2:1 | 3:1 | 1:0 | 1:2 | 1:1 | | | | | | | 1:1 | 0:0 | 20 | 10 | 6 | 4 | 26:14 | 36 | 5 | 3 | 3 | 12:9 | 18 | 5 | 3 | 1 | 14:5 | 18 |
| 6 | სარაგოსა | | 2:1 | | 0:1 | | | 3:1 | 0:0 | | 1:2 | 3:0 | | 2:0 | 1:1 | | 2:1 | | 2:2 | | 3:0 | 20 | 9 | 5 | 6 | 31:21 | 32 | 6 | 3 | 2 | 19:9 | 21 | 3 | 2 | 4 | 12:12 | 11 |
| 7 | ხეტაფე | 1:1 | | 1:0 | | | | | | | 2:0 | 0:1 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 0:0 | | | 20 | 9 | 5 | 6 | 18:13 | 32 | 6 | 4 | 1 | 10:3 | 22 | 3 | 1 | 5 | 8:10 | 10 |
| 8 | უელვა | | 1:3 | | 2:0 | | | 1:2 | | | 2:0 | | | 1:1 | 1:1 | | 2:0 | | 0:1 | | 2:1 | 20 | 9 | 3 | 8 | 29:27 | 30 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 14 | 5 | 1 | 5 | 17:18 | 16 |
| 9 | ვილიარეალი | | 0:0 | 1:0 | 0:1 | | 3:2 | 1:0 | 0:1 | | 1:4 | 0:0 | | | | | 3:2 | | 1:1 | | 2:0 | 20 | 8 | 5 | 7 | 19:24 | 29 | 5 | 3 | 3 | 12:11 | 18 | 3 | 2 | 4 | 7:13 | 11 |
| 10 | ოსასუნა | | | 1:4 | | | | 0:2 | | | | | 0:1 | 3:0 | 4:1 | 1:1 | 5:1 | | 2:1 | | 2:0 | 20 | 8 | 2 | 10 | 27:26 | 26 | 5 | 1 | 3 | 18:11 | 16 | 3 | 1 | 7 | 9:15 | 10 |
| 11 | ესპანიოლი | 3:1 | 2:1 | 0:1 | 1:1 | | | | 0:1 | | 0:0 | | 2:2 | | | 3:2 | | 2:1 | | | 0:1 | 20 | 6 | 8 | 6 | 18:22 | 26 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 15 | 2 | 5 | 3 | 5:11 | 11 |
| 12 | რასინგი | 0:3 | 0:0 | | 1:0 | 0:1 | 0:2 | | 4:3 | 2:1 | | | | | | | | 1:1 | | 1:0 | | 20 | 6 | 8 | 6 | 19:24 | 26 | 4 | 2 | 3 | 9:11 | 14 | 2 | 6 | 3 | 10:13 | 12 |
| 13 | მალიორკა | 1:4 | | 0:1 | | 0:0 | | | 2:1 | 1:2 | | 1:0 | 1:2 | | 0:0 | 1:3 | | 2:2 | | 0:0 | | 20 | 6 | 5 | 9 | 18:28 | 23 | 2 | 4 | 5 | 9:15 | 10 | 4 | 1 | 4 | 9:13 | 13 |
| 14 | დეპორტივო | 1:1 | | 2:0 | | 1:0 | 3:2 | | | 2:0 | | 0:0 | 0:0 | | | 0:2 | | 0:1 | | 2:0 | | 20 | 5 | 8 | 7 | 15:25 | 23 | 5 | 3 | 2 | 11:6 | 18 | 0 | 5 | 5 | 4:19 | 5 |
| 15 | ბილბაო | 1:3 | 1:3 | | | 1:4 | 0:0 | | 4:2 | 0:1 | | | 0:0 | | | | | 0:1 | | 1:1 | | 20 | 5 | 7 | 8 | 23:28 | 22 | 1 | 3 | 5 | 8:15 | 6 | 4 | 4 | 3 | 15:13 | 16 |
| 16 | ბეტისი | 1:1 | | 0:1 | 2:1 | 0:1 | | | | | | 1:1 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 3:0 | | 1:0 | 2:1 | | | 20 | 5 | 6 | 9 | 21:27 | 21 | 4 | 4 | 3 | 12:9 | 16 | 1 | 2 | 6 | 9:18 | 5 |
| 17 | სელტა | 2:3 | 1:2 | | 3:2 | 1:3 | 1:1 | | 1:2 | 1:1 | 0:2 | | | | | | | | | 0:0 | | 20 | 5 | 6 | 9 | 22:29 | 21 | 1 | 3 | 5 | 10:16 | 6 | 4 | 3 | 4 | 12:13 | 15 |
| 18 | ლევანტე | 1:1 | 2:4 | 1:4 | | 0:3 | | | | | | 0:0 | 2:0 | 0:1 | 2:0 | 0:0 | | 1:1 | | 2:0 | | 20 | 4 | 7 | 9 | 18:30 | 19 | 3 | 4 | 4 | 11:14 | 13 | 1 | 3 | 5 | 7:16 | 6 |
| 19 | სოსიედადი | | 1:3 | | 0:1 | | 1:3 | 0:0 | 2:3 | 0:1 | 2:1 | 1:1 | | | | 0:2 | 0:0 | | | | 3:2 | 20 | 2 | 7 | 11 | 12:27 | 13 | 2 | 3 | 6 | 10:17 | 9 | 0 | 4 | 5 | 2:10 | 4 |
| 20 | ხიმნასტიკი | | | 1:3 | | | | 1:3 | | | | 4:0 | 2:2 | 2:3 | 0:0 | 2:3 | 0:1 | 1:2 | 2:1 | | | 20 | 3 | 3 | 14 | 20:39 | 12 | 2 | 2 | 6 | 15:18 | 8 | 1 | 1 | 8 | 5:21 | 4 |



# რაული პლატინის გუნდში თამაშობს

**დრო გადის, მაგრამ რაული „რეალისთვის“ ისევ ლეგენდარულ მეშვიდე ნომრად რჩება. სამეფო გუნდი რამდენიმე დღის წინ რონალდომ დატოვა, თუმცა „სანტიაგო ბერნაბეუს“ მეფედ შერაცხული გონსალეს ბლანკო უცხო კლუბის გამოძებნას ჯერ არ აპირებს. მადრიდელთა კაპიტანს სამომავლო გეგმებზე „ასი“ გაესაუბრა**

**— უკვე საკმარისად მომჯობინდით, რომ კვირას „ლევანტესთან“ თამაში შეძლოთ?**

— დიახ, ვფიქრობ, კვირას პრობლემები არ შემაწუხებს. გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვივარჯიშე და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, აუცილებლად ვითამაშებ, რაც, რა თქმა უნდა, მწვრთნელზეა დამოკიდებული. ძალიან მინდა, ფეხბურთს დავუბრუნდე. თითქმის სამი კვირაა, ბურთს არ გავკარებივარ და ტრავმის შემდეგ „ბერნაბეუზე“ დაბრუნება ჩემთვის განსაკუთრებული რამ არის.

**— თავს მადრიდის „რეალისთვის“ ისევ საჭირო ფეხბურთელად თვლით? ამას სიტუაციის გამო გეკითხებით, რონალდო ხომ „მილანში“ გადავიდა...**

— ყველანი საჭირონი ვართ. გუნდმა რთული პერიოდი განვლო, წამყვანმა ფეხბურთელებმა მძიმე ტრავმები მიიღეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველა გამოჯანსაღების გზაზეა. სეზონის დარჩენილ ნაწილს დიდი იმედებით ველოდებით, ჩემპიონატის პირველი წრე ცუდად ჩავატარეთ და ამის შემდეგ საშინაო მატჩებში ქულების დაკარგვა არ შეიძლება. თუ პრიმერას მოგება გვინდა, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ცუდად თამაშს თავი უნდა დავანებოთ. ასევე ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვისაც ვიბრძოლებთ.

**— ჰყავს მადრიდის „რეალს“ ისეთი ძლიერი შემადგენლობა, რომ ჯილდოები მოიგოს?**

— დიახ, შემადგენლობა საკმარისად ძლიერია. თუ ტრავმებს მალე მოვირჩენთ, საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი გვეყოლება, თან ის ხალხიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, „რეალში“ იანვრის სატრანსფერო ბაზრისას რომ მოვიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რონალდო სხვა გუნდში წავიდა, მიზნების მიღწევას მაინც შევძლებთ.

**— რონის შესახებ რას გვეტყვით?**

— რონალდომ იჩრდას ბევრი სიხარული, ხოლო „რეალს“ ბევრი გოლები აჩუქა. იგი შესანიშნავი კომპანიონია, მაგრამ ცალკეული ფეხბურთელის ამა თუ იმ გუნდში თამაში ადრე თუ გვიან დასასრულს უახლოვდება. მინდა, მადლობა ვუთხრა რონის ყველაფრისთვის, რაც მადრიდის „რეალში“ გააკეთა.

**— ახლა, როცა ბრაზილიელი გუნდში აღარ არის, ელოდებით, რომ მწვრთნელი მატჩებისას უფრო წინა პოზიციაზე გადაგიყვანთ?**

— მე ყოველთვის თავდასხმაში თამაში მომწონდა, მაგრამ მთავარი სიტყვა მაინც მწვრთნელს ეკუთვნის. რონის წასვლის შემდეგ კარგი შანსი მომეცა, მაგრამ უფრო მთავარია, გუნდმა ისევ კარგი თამაში დაიწყოს და მებრძოლი სული აღიდგინოს.

**— რამდენიმეკვირიანი პოლემიკის შემდეგ გუნდში სიტუაცია დაწყნარდა?**

— სიტუაცია ნორმალიზებულია. ძალიან მნიშვნელოვანი იყო გუნდის კრება, რომელიც ამას წინათ შედგა. ზამთრის სატრანსფერო ბაზარი უკვე დაიხურა, გუნდის ხელმძღვანელობამ და ფეხბურთელებმა მოვილაპარაკეთ და „რეალისთვის“ საჭირო კურსი დავადგინეთ. ყველანი ერთად ვართ და თუ რაიმე პრობლემა შეგვექმნა, ერთადვე გადავწყვეტთ.

**— ფეხბურთელთა გამონათქვამები, მათი საქციელი, ახალი ტრანსფერები გუნდის განწყობაზე გავლენას არ ახდენს?**

— ის, რაც მოედნის გარეთ ხდება, ძირითადად ჩვენს თამაშზეა დამოკიდებული — თუ კარგ შედეგს მივაღწევთ, სკანდალური კომენტარები და უსიამოვნო სურპრიზები აღარ იარსებებს. სკანდალურ ექოებს კი შევურიგდით. რას იზამ, გუნდი დიდია და აქ ნებისმიერ წვრილმანს უდიდეს ყურადღებას აქცევენ.

**— ამ კვირის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი ალვარო არბელოას „ლივერპულში“ გადასვლაა. თქვენი აზრით, „რეალს“ მის შენარჩუნებაზე რომ გაეკეთებინა აქცენტი, უკეთესი არ იქნებოდა?**

— უცხოურ ლიგებში ფეხბურთელთა გადასვლა ესპანური ფეხბურთისთვის სასარგებლოა. ეს ის საჭირო გამოცდილებაა, რომელიც მე არ მიმიღია, მაგრამ მის შესახებ ჩემი მეგობრები მიყვებოდნენ. როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება უცბად იზრდები, როცა შენთვის უცხო გუნდში, უცხო ქალაქში გიწევს გადასვლა და იქ პრობლემების მარტო მოგვარება. არბელოა ძალიან ახალგაზრდა მიდის ინგლისში, მაგრამ ნიჭიერიცაა, და ეს წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩავუთვალოთ. იმ ესპანურ „სათვისტომოს“ შეუერთდება, „ლივერპულის“ ღირსების დასაცავად რომ იბრძვის. ინგლისურ პრემიერლიგაში და ჩემპიონთა ლიგაზე თუ ითამაშა, ამით ესპანური ფეხბურთი მხოლოდ მოიგებს.

**— რაული ყველაზე მეტად რომელი გუნდის თამაშის ნახვით ტკბება?**

— გასულ სეზონში ყველაზე საუკეთესოდ „ბარსელონა“ თამაშობდა. „ლივერპული“ სხვა საფეხბურთო სტილის მიმდევარია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა ბრწყინვალედ მოიგო. „ჩელსიც“ მუდამ ბრძოლისუნარიანია. „მილანიც“ კარგ თამაშს უჩვენებდა, თუმცა დღეს იტალიელები დალხინებულნი არ არიან. „რეალი“ ბოლო სამი წელია, საკმაოდ უფერულად თამაშობს, თუმცა ადრე, ოთხი თუ ხუთი წლის წინ ტიტულებს მიჯრით ვიგებდით და შესანიშნავადაც ვბურთაობდით.

**— და „ბაიერნი“? გერმანულ გუნდსაც ცუდი ეპოქა უდგას. იქაურებმა მწვრთნელიც გამოცვალეს...**

— მართლაც, „ბაიერნი“ კრიზისშია, რაც არ მომწონს. ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, ახლა დიდების მწვერვალზე რომ იყვნენ. თუმცა, „ბაიერნი“ მაინც „ბაიერნია“ და როცა საქმეს დასჭირდება, გააფთრებით იბრძოლებს, რაც რამდენჯერმე უკვე დაგვიმტკიცა. არ მაინტერესებს მათთან მატჩში ფავორიტებად შეგვრაცხავენ თუ არა, მთავარია, მოგებაზე ვიფიქროთ. რაც მაგალითად, გასული წლების ჩემპიონთა ლიგაზე გავაკეთეთ იგივე „ბაიერნთან“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“.

**— ესპანური პრიმერადივიზიონის სათამაშო დონე ხომ არ დაეცა?**

— გასაგებია, რომ პრიმერა ინგლისური პრემიერლიგისგან ძალიან განსხვავდება, მაგრამ ესპანეთშიც იმართება დიდებული შეკინებები. ინგლისში ძალიან სწრაფი ტემპით თამაშობენ, ცდილობენ მოწინააღმდეგის მეკარესთან რაც შეიძლება, ახლოს მივიდნენ, ეს კი მაყურებელს ძალიან მოსწონს. დონის დაცემა უფრო იტალიაში შეინიშნება, რადგან „იუვენტუსი“ სერია B-ში დააქვეითეს.

**— უეფას ახალმა პრეზიდენტმა პლატინიმ განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგაზე მონაწილე ესპანური გუნდების რაოდენობა უნდა შეამცირონ...**

— პრეზიდენტად პლატინი აირჩიეს და ევროპული ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებელი გზებიც მან უნდა მოძებნოს. მე პირადად მომწონდა, როცა ლიგაზე ქვეყანას მარტო ერთი გუნდი, ჩემპიონი წარადგენდა. შეიძლება, ოთხი გუნდის მონაწილეობა მეტისმეტია. ეს რიცხვი რომ შემცირდეს, კლუბები სეზონის მეოთხე ადგილზე ჩამთავრებისთვის აღარ იბრძოლებენ და უფრო საპრიზო ადგილების დაკავებაზე იფიქრებენ, რაც ჩემპიონატს დაძაბულობას შესძენს. ეს ძალიან რთული საკითხია, მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი.

**— ადრე თუ გვიან მადრიდის „ატლეტიკოში“ თქვენი დაბრუნება მოსალოდნელია?**

— ამაზე გადაჭრით უარი არასდროს მითქვამს, მაგრამ ესპანეთში თამაშს მარტო „რეალში“ ვაპირებ. თუ სხვა გუნდი ავირჩიე, ეს აუცილებლად უცხოური კლუბი იქნება.

# ჰაანი ფოსტით გაიპარა

**ექვსი** თვეც არ გასულა მას მერე, რაც ჰოლანდიელი არი ჰაანი კამერუნის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს, რომ ის თანამდებობიდან გადაგა. არადა, კონტრაქტი ორწლიანი იყო.

როგორც გაზეთი „კამერუნ ტრიბუნი“ იუწყება, ჰაანი თავად მივიდა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჟან ლამბერტ ნანგთან და წასვლის სურვილი გაანდო.

„გადავწყვიტე დღეიდან, ანუ 2007 წლის 31 იანვრიდან, კამერუნის ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობა დავასრულო და ამის შესახებ ბატონ ნანგს მეილით შევატყობინე“ — მოჰყავს „კამერუნ ტრიბუნს“ ჰოლანდიელის ციტატა. ნანგი ან რომელიმე სხვა ოფიციალური პირი გაზეთმა კომენტარისთვის ვერ იხელთა.

„კამერუნ ტრიბუნის“ ვერსიით ჰაანის უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ კამერუნის ფეხბურთის ფედერაციამ იგი არ შეიყვანა იმ დელეგაციაში, რომელიც ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს აფრიკის ასაკობრივ ჩემპიონატზე ახლდა. გარდა ამისა, გაირკვა, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელი 7 თებერვალს ტოგოს ნაკრებთან ამხანაგური თამაშის დანიშვნის წინააღმდეგი ყოფილა. ჰაანს მიაჩნდა, რომ მის გუნდს ტოგოზე ძლიერ მეტოქესთან, კერძოდ კი კოტ დივუართან მართებდა გაჯიბრება.

ასე და ამგვარად, არი ჰაანი, რომელმაც კამერუნელებთან კონტრაქტი გასული წლის აგვისტოში გააფორმა, მალევე განაწყენდა დამქირავებლებზე და ბოლო ორი თვის განმავლობაში აფრიკაში აღარც ჩა-



სულა, რაც თურმე, არც მეტი, არც ნაკლები ხელშეკრულების პირობების დარღვევა ყოფილა, რადგან თავდაპირველი შეთანხმების თანახმად ჰაანს კამერუნში უნდა ეცხოვრა.

**ბაკუნა ძიძია**

# ფიორე სკამს გაექცა

**იტალიის** ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი სტეფანო ფიორე სეზონს „ლივორნოში“ ჩაამთავრებს. ტოსკანელებმა იგი „ტორინოსგან“ ინათხოვრეს.

„ფიორე ჩვენი მთავარი სამიზნე იყო, რადგან გუნდის მწვრთნელს დანიელე არიგონის მისი ხელში ჩაგდება ძალიან უნდოდა. თუმცა ამ ტრანსფერის დეტალების შეთანხმება უაღრესად რთული იყო. რადგან „ტორინოს“ პრეზიდენტ ურბანო კაიროსთან ლაპარაკი უფრო ძნელია, ვიდრე გენუელებთან საქმის დაჭერა... ასეა თუ ისე, ყველანი ძალიან გახარებულნი ვართ, რომ სტეფანო ჩვენთანაა“ — განაცხადა „ლივორნოს“ ექსცენტრიულმა პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ.

ეს ცოტა მოულოდნელი ტრანსფერი იმითაც არის გამორჩეული, რომ ფიორე თავის მხრივ „ტორინოს“ „ვალენსიასგან“ სეზონის ბოლომდე ჰყავდა ნათხოვარი.

„ჩვენ „ვალენსიას“ წარმომადგენლებსაც ვესაუბრეთ და შესაძლოა, სეზონის ბოლოს მათთან ფიორეს კონტრაქტის ბოლომდე გამოსყიდვაზე დავიწყოთ მოლაპარაკება“ — დასძინა სპინელიმ.

ამ ტრანსფერით თავად ფიორეც გახარებული უნდა იყოს, რადგან „ლაციოსა“ და ფიორენტინას“ ყოფილ ფეხბურთელს „ტორინოდან“ წასვლა უნდოდა. ტურინელთა მწვრთნელ ალბერტო ძაკერონისთან მას არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს და დიდი დროის სათადარიგოთა სკამზე გატარება უწევდა.

**კოკი კანდელაკი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 16:45 | 15 | ლივერპული-ევერტონი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 19:00 | 16 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 1.95 | 3.30 | 3.80 | 1.22 | 1.28 | 1.76 |
| 19:00 | 17 | ბლექბერნი-შეფილდი | 1.70 | 3.40 | 5.10 | 1.13 | 1.27 | 2.03 |
| 19:00 | 18 | ჩარლტონი-ჩელსი | 8.50 | 4.30 | 1.37 | 2.85 | 1.17 | 1.03 |
| 19:00 | 20 | ფულემი-ნიუკასლი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 19:00 | 21 | სიტი-რედინგი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 19:00 | 22 | უოტფორდი-ბოლტონი | 3.60 | 3.30 | 2.00 | 1.72 | 1.28 | 1.24 |
| 19:00 | 24 | უიგანი-პორტსმუთი | 2.75 | 3.20 | 2.50 | 1.47 | 1.30 | 1.40 |
| 21:15 | 25 | მიდლსბრო-არსენალი | 4.40 | 3.30 | 1.80 | 1.88 | 1.27 | 1.16 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 27 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 42 | კოლჩესტერი-ბირმინგემი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 19:00 | 43 | კრისტალ პალასი-იფსვიჩი | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 19:00 | 44 | ჰალი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 19:00 | 45 | ლესტერი-ლუტონი | 1.90 | 3.30 | 3.90 | 1.20 | 1.27 | 1.78 |
| 19:00 | 46 | ნორვიჩი-ლიდსი | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| 19:00 | 47 | ქპრ-ბარნლი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 48 | უენსდი-პრესტონი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 19:00 | 49 | საუთჰემპტონი-დერბი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 50 | სტოკი-საუთენდი | 1.60 | 3.50 | 5.60 | 1.09 | 1.24 | 2.15 |
| 19:00 | 51 | სანდერლენდი-ქოვენთრი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 19:00 | 52 | ვულვერჰემპტონი-პლიმუთი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 55 | ბლეკპული-ბრენტფორდი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 19:00 | 56 | ბრედფორდი-ნოტინგემი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 19:00 | 57 | ბრაიტონი-როტერჰემი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 19:00 | 58 | ჩელტენემი-სუონსი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 19:00 | 59 | ჩესტერფილდი-ბორნმუთი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 19:00 | 60 | დონკასტერი-კარლაილი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:00 | 61 | ჰადერსფილდი-ჯილინგემი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 19:00 | 62 | ლეიტონი-პორტ ვეილი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 63 | ნორთჰემპტონი-ქრიუ | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 64 | ოლდემი-ტრანმერი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 19:00 | 65 | იოვილი-მილუოლი | 1.68 | 3.40 | 4.70 | 1.12 | 1.23 | 1.97 |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 66 | სკანთორპი-ბრისტოლი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 72 | აკრინგტონი-ჩესტერი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 73 | ბოსტონი-გრიმსბი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 74 | როვერსი-პიტერბრო | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 19:00 | 75 | ბერი-დონსი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 76 | ჰერეფორდი-სტოკპორტი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 77 | მაკლსფილდი-დარლინგტონი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 19:00 | 78 | მენსფილდი-შრიუსბერი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 79 | ნოტსი-ლინკოლნი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 80 | სუინდონი-ჰარტლპული | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 81 | ტორკი-ბარნეტი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | ბ2 | უოლსოლი-როჩდეილი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 19:00 | 83 | რექსემი-უიკომბი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 86 | ქროული-ფორესტ გრინი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 19:00 | 91 | ოქსფორდი-კემბრიჯი | 1.52 | 3.50 | 6.00 | 1.05 | 1.21 | 2.21 |
| 19:00 | 92 | ვეიმუთი-ბარტონი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 19:00 | 93 | საუთპორტი-ალტრინჰემი | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 94 | სტ.რეინჯერსი-ექსეტერი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 19:00 | 96 | იორკი-ტემუორთი | 1.45 | 3.70 | 6.80 | 1.04 | 1.19 | 2.39 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 571 | ერდრი-დანდი | 2.40 | 3.40 | 2.50 | 1.40 | 1.22 | 1.44 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 97 | ბრეჩინი-ეარი | 1.85 | 3.50 | 3.50 | 1.21 | 1.21 | 1.75 |
| 19:00 | 99 | რეითი-ალოა | 1.80 | 3.50 | 3.65 | 1.18 | 1.20 | 1.78 |
| 19:00 | 100 | სტირლინგი-პიტერჰედი | 1.65 | 3.60 | 4.35 | 1.13 | 1.19 | 1.96 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 102 | დამბარტონი-ალბიონი | 2.00 | 3.40 | 3.10 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| 19:00 | 103 | ელგინი-ბერიკი | 6.00 | 4.30 | 1.40 | 2.50 | 1.13 | 1.05 |
| 19:00 | 104 | მონტროუზი-ისტ სტირლინგი | 2.05 | 3.50 | 2.90 | 1.29 | 1.20 | 1.58 |
| 19:00 | 105 | ქუინზ პარკი-ისტ ფაიფი | 2.10 | 3.40 | 2.85 | 1.29 | 1.20 | 1.55 |
| 19:00 | 106 | სტენჰაუზმური-არბროთი | 2.50 | 3.50 | 2.35 | 1.45 | 1.21 | 1.40 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 18:30 | 119 | კოტბუსი -ბოხუმი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 18:30 | 120 | ალემანია-ჰანოვერი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 18:30 | 121 | არმინია-მიონხენგლადბახი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 18:30 | 122 | აინტრახტი-მაინცი | 2.00 | 3.20 | 3.55 | 1.23 | 1.27 | 1.68 |
| 18:30 | 123 | ჰერტა-ჰამბურგი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 18:30 | 126 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 125 | ვერდერი-შალკე | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 20:00 | 127 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 2.25 | 3.20 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 133 | ჰანზა-ფიურტი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 17:00 | 134 | კიოლნი-კასლ ცაისი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 17:00 | 135 | პადერბორნი-კაიზერსლაუტერნი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 17:00 | 136 | ესენი-აუგსბურგი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 17:00 | 137 | უნტერჰახინგი-ფრაიბურგი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 138 | მიუნხენი 1860-ბურგჰაუზენი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 139 | რეჯინა-მესინა | 1.85 | 3.00 | 4.70 | 1.14 | 1.32 | 1.83 |
| 23:30 | 140 | ლივორნო-კალიარი | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 141 | ასკოლი-მილანი | 7.50 | 3.70 | 1.46 | 2.47 | 1.22 | 1.04 |
| 18:00 | 144 | ემპოლი-ატალანტა | 2.35 | 3.00 | 3.10 | 1.31 | 1.33 | 1.52 |
| 18:00 | 145 | ლაციო-კიევო | 1.65 | 3.20 | 6.00 | 1.08 | 1.29 | 2.08 |
| 18:00 | 146 | პარმა-ფიორენტინა | 3.40 | 3.00 | 2.15 | 1.59 | 1.31 | 1.25 |
| 18:00 | 147 | სიენა-ტორინო | 2.10 | 2.90 | 3.90 | 1.21 | 1.36 | 1.66 |
| 18:00 | 148 | უდინეზე-სამპდორია | 2.00 | 3.00 | 3.80 | 1.20 | 1.31 | 1.67 |
| 23:30 | 149 | ინტერი-რომა | 1.85 | 3.10 | 4.30 | 1.15 | 1.29 | 1.80 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 152 | ალბინოლეფე-ლეჩე | 2.15 | 2.70 | 3.50 | 1.19 | 1.33 | 1.52 |
| 19:00 | 153 | ბოლონია-პესკარა | 1.35 | 3.60 | 9.50 | 1.00 | 1.18 | 2.61 |
| 19:00 | 154 | ფროზინონე-ტრიესტინა | 2.40 | 2.60 | 3.20 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| 19:00 | 155 | ჯენოა-ვიჩენცა | 1.45 | 3.50 | 7.30 | 1.02 | 1.20 | 2.36 |
| 19:00 | 156 | იუვენტუსი-რიმინი | 1.25 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |
| 19:00 | 157 | მანტოვა-არეცო | 1.60 | 3.20 | 6.20 | 1.06 | 1.27 | 2.11 |
| 19:00 | 158 | პიაჩენცა-ბრეშა | 2.05 | 2.70 | 3.85 | 1.16 | 1.33 | 1.58 |
| 19:00 | 159 | ტრევიზო-ნაპოლი | 2.90 | 2.70 | 2.60 | 1.39 | 1.37 | 1.32 |
| 19:00 | 160 | ვერონა-მოდენა | 2.25 | 2.70 | 3.35 | 1.22 | 1.34 | 1.49 |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 161 | ბარი-კროტონე | 1.70 | 2.90 | 5.65 | 1.07 | 1.30 | 1.91 |
| | | იტალია. სერია C1/A | | | | | | |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 17:30 | 163 | გროსეტო-პრო პატრია | 1.50 | 3.30 | 6.70 | 1.03 | 1.22 | 2.21 |
| 17:30 | 164 | ლუკეზე-პიზა | 2.25 | 2.60 | 3.40 | 1.20 | 1.35 | 1.47 |
| 17:30 | 165 | მახესე-პრო სესტო | 2.00 | 2.70 | 3.90 | 1.14 | 1.32 | 1.59 |
| 17:30 | 166 | მონცა-ვენეცია | 2.45 | 2.60 | 3.00 | 1.26 | 1.34 | 1.39 |
| 17:30 | 167 | ნოვარა-პავია | 1.60 | 3.00 | 5.80 | 1.04 | 1.25 | 1.97 |
| 17:30 | 168 | პადოვა-კრემონეზე | 1.75 | 2.80 | 5.00 | 1.07 | 1.29 | 1.79 |
| 17:30 | 169 | პისტოიეზე-სანჯოვანეზე | 2.20 | 2.60 | 3.45 | 1.19 | 1.34 | 1.48 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 170 | პიზიგეტონე-ჩიტადელა | 2.80 | 2.60 | 2.60 | 1.34 | 1.34 | 1.29 |
| 17:30 | 171 | სასულო-ივრეა | 1.45 | 3.30 | 7.50 | 1.00 | 1.21 | 2.29 |
| | | იტალია. სერია C1/B | | | | | | |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 17:30 | 173 | ანკონა-ჩავეზე | 2.55 | 2.60 | 2.85 | 1.28 | 1.34 | 1.35 |
| 17:30 | 174 | აველინო-მარტინა | 1.33 | 3.70 | 9.00 | 1.00 | 1.15 | 2.62 |
| 17:30 | 175 | ფოჯა-სამბენედეტეზე | 1.70 | 2.90 | 5.30 | 1.07 | 1.28 | 1.87 |
| 17:30 | 176 | ჯულიანოვა-გალიპოლი | 3.65 | 2.70 | 2.05 | 1.55 | 1.31 | 1.16 |
| 17:30 | 177 | პერუჯა-ტერამო | 1.60 | 2.90 | 6.00 | 1.03 | 1.26 | 1.95 |
| 17:30 | 178 | სალერნიტანა-ტერნანა | 1.70 | 2.80 | 5.30 | 1.05 | 1.28 | 1.83 |
| 17:30 | 179 | სან მარინო-მანფრედონია | 2.15 | 2.70 | 3.45 | 1.19 | 1.32 | 1.51 |
| 17:30 | 180 | ტარანტო-სტაბია | 1.75 | 2.80 | 4.90 | 1.07 | 1.28 | 1.78 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 183 | ესპანიოლი-სარაგოსა | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 23:00 | 184 | დეპორტივო-მალიორკა | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 23:45 | 193 | ვალენსია-ატლეტიკო | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 181 | ბილბაო-ბეტისი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 20:00 | 182 | სელტა-ტარაგონა | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 23:45 | 185 | ოსასუნა-ბარსელონა | 4.40 | 3.50 | 1.70 | 1.94 | 1.22 | 1.14 |
| 23:45 | 186 | ოსასუნა-ბარსელონა 1:0 | 2.05 | 3.50 | 2.70 | | | |
| 22:00 | 187 | რეალი-ლევანტე | 1.22 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.77 |
| 20:00 | 189 | უელვა-ვილიარეალი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 20:00 | 190 | რასინგი-ხეტაფე | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 20:00 | 191 | სევილია-სოსიედადი | 1.30 | 4.60 | 9.50 | 1.01 | 1.14 | 3.09 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 21:30 | 194 | ალავესი-მალაგა | 1.90 | 3.00 | 3.85 | 1.16 | 1.27 | 1.68 |
| 21:30 | 195 | ალბასეტე-ელჩე | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 21:30 | 197 | კადისი-ტენერიფე | 1.85 | 3.10 | 3.90 | 1.15 | 1.25 | 1.72 |
| 21:30 | 199 | სიუდადი-სერესი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 23:00 | 201 | პერკულესი-რეალი(ბ) | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| 21:30 | 202 | ლას პალმასი-ვალიადოლიდი | 3.00 | 2.90 | 2.25 | 1.47 | 1.28 | 1.26 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 15:00 | 196 | ალმერია-მურსია | 2.30 | 2.90 | 2.95 | 1.28 | 1.29 | 1.46 |
| 20:00 | 198 | კასტელონი-ვეცინდარიო | 1.65 | 3.30 | 4.95 | 1.10 | 1.23 | 1.98 |
| 20:00 | 200 | სპორტინგი-ლორკა | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 20:00 | 203 | ნუმანსია-პონფერადინა | 1.70 | 3.10 | 4.70 | 1.09 | 1.24 | 1.86 |
| 20:30 | 204 | სალამანკა-ეხიდო | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 20:10 | 205 | ლილი-ნანტი | 1.55 | 3.50 | 6.50 | 1.07 | 1.25 | 2.27 |
| 23:00 | 207 | ლორიანი-ლე მანი | 2.15 | 3.00 | 3.50 | 1.25 | 1.33 | 1.61 |
| 23:00 | 210 | მონაკო-ოსერი | 1.95 | 3.10 | 4.10 | 1.19 | 1.32 | 1.76 |
| 23:00 | 211 | ნანსი-ტულუზი | 2.10 | 3.00 | 3.70 | 1.23 | 1.33 | 1.65 |
| 23:00 | 212 | ნიცა-ბორდო | 2.65 | 3.00 | 2.70 | 1.40 | 1.33 | 1.42 |
| 23:00 | 214 | სოშო-რენი | 2.00 | 3.00 | 4.00 | 1.20 | 1.33 | 1.71 |
| 23:00 | 215 | სტ.ეტიენი-სედანი | 1.50 | 3.70 | 6.70 | 1.06 | 1.22 | 2.38 |
| 23:00 | 218 | ვალენსიენი-ლანსი | 3.00 | 2.90 | 2.40 | 1.47 | 1.33 | 1.31 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 208 | მარსელი-პსჟ | 1.85 | 3.00 | 4.70 | 1.14 | 1.32 | 1.83 |
| 21:00 | 216 | ტრუა-ლიონი | 6.70 | 3.50 | 1.55 | 2.29 | 1.25 | 1.07 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 225 | გენგამი-სტრასბური | 2.75 | 2.80 | 2.45 | 1.38 | 1.29 | 1.30 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 232 | გენტი-ლოკერენი | 1.50 | 3.80 | 6.20 | 1.07 | 1.20 | 2.35 |
| 23:00 | 234 | ანდერლეხტი-ვესტერლო | 1.25 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.19 |
| 23:00 | 235 | სერკლი-შარლერუა | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 23:00 | 236 | ლიერსი-ვარეგემი | 2.55 | 3.30 | 2.50 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 23:00 | 238 | მონსი-ბეერსხოტი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 23:00 | 239 | რუზელარე-მუსკრონი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 23:00 | 240 | სტ.ტრუიდენი-ბრიუსელი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 241 | სტანდარდი-გენკი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 242 | ანტვერპენი-დესელი | 1.30 | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.81 |
| 23:00 | 243 | მეხელენი-სტ.ჟილი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 23:00 | 245 | რონსე-დაინცე | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 23:00 | 246 | ვირტონი-პევერლე | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 23:00 | 248 | ლომელი-ვიგორი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 244 | ოსტენდე-ვაასლანდი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 18:00 | 247 | კორტრაიკი-დენდერი | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 18:00 | 249 | რ ვარეგემი-ტუბეკე | 4.10 | 3.30 | 1.75 | 1.82 | 1.22 | 1.14 |
| 18:00 | 250 | ტინენი-ეუპენი | 2.25 | 3.10 | 2.75 | 1.30 | 1.23 | 1.45 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 252 | ბრედა-ვალვაიკი | 1.60 | 3.40 | 5.10 | 1.08 | 1.21 | 2.03 |
| 22:30 | 253 | პსვ-ალკმაარი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 23:00 | 254 | ექსელსიორი-ტვენტე | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |
| 23:00 | 256 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.31 | 1.25 | 1.54 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 15:30 | 257 | აიაქსი-ფეიენოორდი | 1.65 | 3.40 | 4.55 | 1.11 | 1.21 | 1.94 |
| 15:30 | 258 | დენ ჰააგი-უტრეხტი | 3.00 | 3.30 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.30 |
| 15:30 | 259 | ვიტესი-ნაიმეგენი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 17:30 | 260 | სპარტა-როდა | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 276 | პორტუ-ამადორა | 1.25 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.42 |
| 23:45 | 279 | სპორტინგი-ნასიონალი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 272 | ბეირა მარი-ლეირია | 3.30 | 3.10 | 2.15 | 1.59 | 1.30 | 1.26 |
| 23:45 | 273 | ბრაგა-ავეში | 1.37 | 4.30 | 7.00 | 1.03 | 1.14 | 2.66 |
| 20:00 | 274 | მარიტიმუ-ფერეირა | 1.95 | 3.10 | 3.80 | 1.19 | 1.28 | 1.70 |
| 20:00 | 275 | ნავალი-აკადემიკა | 1.67 | 3.55 | 4.60 | 1.13 | 1.22 | 2.00 |
| 20:00 | 278 | სეტუბალი-ბელენენსეში | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| | | პორტუგალია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 19:30 | 283 | ეშტორილი-შავეში | 1.60 | 3.40 | 4.65 | 1.08 | 1.19 | 1.96 |
| 19:00 | 284 | ფეირენსე-ჟილ ვისენტე | 2.00 | 3.10 | 3.25 | 1.21 | 1.23 | 1.58 |
| 19:00 | 285 | გონდომარი-ვიზელა | 1.70 | 3.40 | 3.95 | 1.13 | 1.18 | 1.82 |
| 15:00 | 286 | გიმარაეში-ვარზიმი | 1.65 | 3.40 | 4.30 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 19:00 | 287 | ლეიშოეში-სანტა კლარა | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:30 | 289 | რიუ ავე-პენაფიელი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 290 | ტროფენსე-მოსკავიდე | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 18:45 | 291 | ირაკლისი-ატრომიტოსი | 1.70 | 3.20 | 4.80 | 1.11 | 1.25 | 1.92 |
| 21:00 | 292 | პაოკ-პანათინაიკოსი | 2.80 | 2.90 | 2.45 | 1.42 | 1.30 | 1.32 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 293 | კერკირა-ეგალეო | 2.00 | 3.00 | 3.75 | 1.20 | 1.30 | 1.66 |
| 17:00 | 294 | ოლიმპია-იონიკოსი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 17:00 | 295 | პანიონიოსი-კალამარია | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 18:45 | 296 | ოფი-ერგოტელისი | 1.70 | 3.20 | 5.00 | 1.11 | 1.26 | 1.95 |
| 21:00 | 297 | აეკ-ოლიმპიაკოსი | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 21:00 | 298 | არისი-ქსანთი | 1.95 | 3.00 | 3.85 | 1.18 | 1.29 | 1.68 |
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 16:00 | 300 | ანტალია-საკარია | 2.00 | 3.10 | 3.35 | 1.21 | 1.25 | 1.61 |
| 16:00 | 308 | კონია-დენიზლი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 21:00 | 310 | მანისა-ტრაბზონი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 16:00 | 299 | ანკარა-ანკარაგიუჯიუ | 2.45 | 3.00 | 2.70 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 16:00 | 301 | ბურსა-ერჟიესი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 18:00 | 304 | გაზიანთეფი-ბეშიქთაში | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 21:00 | 306 | კაისერი-გალათასარაი | 3.50 | 3.10 | 1.95 | 1.64 | 1.25 | 1.19 |
| 16:00 | 309 | სივასპორი-რიზე | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 312 | სან ლუისი-ატლანტე | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 314 | ჩივასი-პაჩუკა | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:45 | 316 | მორელია-ტიგრესი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 23:45 | 318 | ნეკახა-სანტოსი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 23:45 | 319 | კერეტარო-ტოლუკა | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 315 | ტეკოსი-ვერაკრუსი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 337 | დანფერმლაინი-ჰართსი | 5.30 | 3.40 | 1.60 | 2.07 | 1.22 | 1.08 |
| 19:00 | 338 | ფოლკირკი-სტ.ჯონსტონი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:00 | 339 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 19:00 | 340 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 19:00 | 342 | მოზერუელი-მორტონი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 19:00 | 343 | ქუინი-კოუდენბითი | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 341 | ლივინგსტონი-სელტიკი | 15.00 | 5.50 | 1.16 | 4.02 | 1.07 | 1.00 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
